CMYK - 1

www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი 23 ივლისი, 2009 წელი. №164 (2202) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

გუანტანამოს ციხე შესაძლოა 2010 წლისთვის აღარ დაიხუროს

A4



ეს რუბენსის ხელია?!

A6



ფინური ბარიერი

A8





24 საათი
"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ვენის სადაზღვევო ჯგუფი

# "ჩვენ არასდროს მიგატოვებთ"

## მათთვის, ვისაც ესმის და მოსმენა სურს

დიმიტრი ავალიანი

*შეერთებული შტატები საქართველოს არასდროს მიატოვებს. საქართველო აშშ-სთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარტნიორია. ეს განცხადებები გუშინ, თბილისში, აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა გააკეთა. მან "ვარდების რევოლუცია" არაერთხელ ახსენა და ქვეყნის დამოკრატიულ მიღწევებზეც ისაუბრა. თუმცა, ბაიდენმა ხაზი დემოკრატიის გაღრმავების აუცილებლობასაც გაუსვა. მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს დახმარებისთვის ჯოზეფ ბაიდენს მადლობა გადაუხადა, რუსული აგრესიის შედეგები შეახსენა და დემოკრატიული რეფორმების გაგრძელების აუცილებლობაზეც ისაუბრა.*

ჯოზეფ ბაიდენის თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში საღამოს შვიდის ნახევარზე დაეშვა.

გაგრძელება A3 გვერდზე



AFP ' 2009

# აქცია ვიზიტის პარალელურად

დათო გამისონია

გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებს აქციის გამართვა რუსთაველის გამზირზე ჰქონდათ დაგეგმილი. ისინი სპეციალურად მომზადებული მიმართვით აპირებდნენ აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტთან მისალმებას. თუმცა, 15:00 საათისთვის სამართალდამცავებმა, უსაფრთხოების დაცვის მიზნით („თბილისი მარიოტში" ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის დარჩენა წინასწარ იყო დაგეგმილი), ცისფერი გალერეის წინ განთავსებული „საკნების" გადაადგილება დაიწყეს. ამ დროს მსუბუქ კონსტრუქციებში პარტია „თავისუფლების" აქტივისტები იმყოფებოდნენ, მათ პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. საპატრულო პოლიციამ „თავისუფლების" კუთვნილი „საკნები" ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაიტანა. რამდენიმე წუთში რუსთაველის გამზირზე პარტია „თავისუფლების" ლიდერები თანაპარტიელებთან ერთად გამოჩნდნენ. პარტია „თავისუფლების" წევრმა სანდრო ბრეგაძემ უსაფრთხოების ზომების დაცვა კანონდარღვევად შეაფასა. მისი აზრით, **„დღეს საქართველოს ხელისუფლებამ უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ბაიდენს, როდესაც მისი ჩამოსვლის დღეს დაარბია მშვიდობიანი მიტინგი."**

გაგრძელება A2 გვერდზე



ნათია ჭიჭიაშვილის ფოტო

CMYK - 1

## ილია მეორე საქართველოში 31 ივლისს დაბრუნდება

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე საქართველოში 31 ივლისს, 15:00 საათზე დაბრუნდება. როგორც საპატრიარქოში განაცხადეს, უწმინდესს პროფილაქტიკური სამკურნალო კურსის გავლა ჯერ არ დაუსრულებია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა ნორმალურია, თავს კარგად გრძნობს. უწმინდესი და უნეტარესი გერმანიაში გამოკვლევების ჩასატარებლად 14 ივლისს გაემგზავრა. ის შესაბამის კურსს მიუნხენის წამყვან კლინიკაში გადის. **პირველი**

## ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში ამერიკელების ჩართვის საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას

სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელ პიტერ სემნების განცხადებით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში ამერიკელი დამკვირვებლების შესაძლო ჩართვის საკითხი ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას. "მისიაში ამერიკელი დამკვირვებლების ჩართვა საქართველოს სურს. ჩვენ მოვისმინეთ ამ საკითხზე ქართული მხარის პოზიცია, მაგრამ რამე გადაწყვეტილების მიღება ამ ეტაპზე დღის წესრიგში არ დგას, თუმცა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს შორის არაოფიციალური დისკუსია უკვე მიმდინარეობს," - აცხადებს სემნები, რომლის სიტყვებსაც "ნიუ იორკ თაიმსი" აქვეყნებს. ევროკავშირში არ გამორიცხავენ, რომ საქართველოში მისიის მანდატის გაგრძელების შემდეგ მის შემადგენლობაში ამერიკელი დამკვირვებლები შევიდნენ. ამის შესახებ ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყნის შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა. კარლდ ბილდტის შეფასებით, ეს საკითხი ეტაპობრივად უნდა გადაწყდეს - ჯერ მისიის უფლებამოსილება გახანგრძლივდეს, შემდეგ კი მისი შემადგენლობა განისაზღვროს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## გიორგი ბარამია აფხაზეთში ვითარების უკიდურესად დაძაბვაზე საუბრობს

აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარე გიორგი ბარამიას შეფასებით, კონფლიქტის რეგიონში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. "სიტუაცია აფხაზეთში უკიდურესად დაძაბულია, ადგილებიდან, ფაქტობრივად, განდევნილია აფხაზური მილიცია და სასაზღვრო შენაერთები. რუსი ოკუპანტები ამ საკითხზე გაკეთებულ განცხადებებში აღნიშნავენ, თითქოს ეს ყველაფერი აფხაზი ხალხის უსაფრთხოების დასაცავად ხორციელდება. რა თქმა უნდა, ეს აბსურდია! ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ რუს ოკუპანტებსა და აფხაზ მილიციელებს შორის დაპირისპირება გუდაუთაშიც ხდება. აღნიშნული ძალები ტყეებში არიან გახიზნულები და უპირისპირდებიან როგორც რუს ოკუპანტებს, ასევე მარიონეტულ ხელისუფლებას," - განაცხადა გუშინ გამართულ საგანგებო ბრიფინგზე ბარამიამ. მისივე ინფორმაცით, ადგილობრივი მოსახლეობა შეშფოთებულია და ოკუპანტების ქმედებებს აქციებით აპროტესტებს. "აფხაზურმა მოსახლეობამ ამ საკითხის გამო უკვე გამოხატა პროტესტი როგორც სეპარატისტული ხელისუფლების, ასევე რუსი ოკუპანტების წინააღმდეგ, " - აღნიშნა ბარამიამ. **პირველი**

## "ამერიკელების იმედი ქართველებს ახალი პროვოკაციისკენ უბიძგებს"

აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლება ევროკავშირის სადამკვირებლო მისიაში ამერიკელების შესაძლო მონაწილეობას აპროტესტებს. სეპარატისტების საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას შეფასებით, ევროკავშირის მისიაში ამერიკელთა ჩართვით ინციდენტების შემცირების შესაძლებლობა ნაკლებად არის მოსალოდნელი.

"პირიქით, ამერიკელების იმედი ქართველებს ახალი პროვოკაციისკენ უბიძგებს," - განაცხადა შამბამ აღნიშნულ საკითხზე კომენტარისას. ამასთან, მისივე განმარტებით, სარკოზი-მედვედევის შეთანხმება მხოლოდ ევროკავშირის დამკვირვებლების მონიტორინგს ითვალისწინებს და მის შემადგენლობაში ამერიკელთა შეყვანაზე არაფერია ნათქვამი. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ლეიბორისტები" ტყის დაცვის კომიტეტს აყალიბებენ

"ლეიბორისტული პარტიის" აღმასრულებელ მდივან პაატა ჯიბლაძის განცხადებით, "ლეიბორისტული პარტია" ტყის დაცვის კომიტეტს ჩამოაყალიბებს. ამის შესახებ მან გუშინდელ პრესკონფერენციაზე ისაუბრა. "ლეიბორისტულმა პარტიამ" დიდი ძალისხმევა დახარჯა, რათა ტყეების სახით ჩვენი სიმდიდრე არ გაყიდულიყო, თუმცა რამდენიმე რაიონში ეს მაინც მოხდა. ახმეტასა და ყვარელში ჩვენს ტყეებს ჩინელები დაეპატრონენ და ჩვენს სიმდიდრეს ფესვებიანად იღებენ. ამიტომ ჩვენ ჩამოვაყალიბებთ ტყის დაცვის კომიტეტს. პარასკევს, 13:00 საათზე თელავში დაფუძნდება ტყის დაცვის კომიტეტი, რომელშიც სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები იქნებიან გაერთიანებულნი," - განუცხადა ჟურნალისტებს პაატა ჯიბლაძემ. **ექსპრესნიუსი**

# აქცია ვიზიტის პარალელურად

პირველი გვერდიდან

ხოლო, „თავისუფლების" ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია მიიჩნევს, რომ შეერთებული შტატების საელჩოს მოთხოვნა გარკვეული თვალსაზრისით მისაღებია, თუმცა გამსახურდიამ სამართალდამცავების მოქმედების ფორმები დაგმო. **„უსაფრთხოების ზომების მიღების შესახებ აშშ-ს საელჩოს მოთხოვნას ანგარიში უნდა გაეწიოს. მაგრამ, ამავე დროს ეს პრაქტიკულად დარბევა იყო,"** - მიიჩნევს გამსახურდია. ვითარებაში გასარკვევად რუსთაველის გამზირზე პარლამენტის დეპუტატი, „ქართული დასის" ლიდერი ჯონდი ბაღათურია მივიდა. „თავისუფლების" ლიდერის თქმით, „საკანში" მყოფი პარტია „თავისუფლების" წევრების მიმართ სოლიდარობა, ბაღათურიასა და გიორგი კობახიძის გარდა, არც ერთ პოლიტიკოსს არ გამოუხატავს. სწორედ ამიტომ, კონსტანტინე გამსახურდიას განცხადებით, მისი მხარდამჭერები „საკნების" დატოვებას აპირებენ.

საპატრულო პოლიციამ გადაადგილება თავისუფლების მოედანზეც შეზღუდა. 9 აპრილს დაწყებული აქციების ორგანიზატორი ოპოზიციური პარტიების ლიდერები გუშინ რუსთაველის გამზირზე არ გამოჩენილან. ისინი, მხარდამჭერებთან ერთად, ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბნენ. აქციის მონაწილეებს, აშშ-ს სახელმწიფო დროშებთან ერთად, ინგლისურ ენაზე დაწერილი ლოზუნგებიც ეჭირათ. დემონსტრანტების შეკრებამ მელიქიშვილის გამზირის გადაკეტვა გამოიწვია. ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მისასალმებელ აქციაზე ოპოზიციის ლიდერთაგან ლევან გაჩეჩილაძე, სალომე ზურაბიშვილი, ნინო ბურჯანაძე, ზვიად ძიძიგური და ეკა ბესელია იმყოფებოდნენ. „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ ფილარმონიასთან მიმდინარე აქციაზე ჟურნალისტებთან საუბრისას რუსთაველის გამზირიდან „საკნების" გადაადგილების ფაქტი შეაფასა. **„პოლიციის მიერ რუსთაველის გამზირის გადაკეტვა და „საკნების" აღება პრეზიდენტ სააკაშვილის მორიგი პროვოკაციაა. ჯოზეფ ბაიდენთან შეხვედრისას ამ საკითხზე აუცილებლად ვისაუბრებ. არავის აქვს უფლება, მოსახლეობას მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ჩატარება აუკრძალოს,"** - განაცხადა ბურჯანაძემ. მისი თქმით, სწორედ იმის გამო, რომ ხალხს აქციის ჩატარების ადგილი არ სცოდნოდა და შეკრება ჩაშლილიყო, ოპოზიციას წინასწარ არ შეატყობინეს უსაფრთხოების ზომების გამო გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. ფილარმონიასთან გამართულ მიტინგზე სიტყვით გამოსვლისას „კონსერვატიული პარტიის" ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა აქციის მიზნებზე ისაუბრა. მისი თქმით, ჯოზეფ ბაიდენის ჩამოსვლის დროს საქართველოს მოქალაქეებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ქვეყანაში აუცილებელია ცვლილებები. **„ბაიდენსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის დაგეგმილი შეხვედრა იმაზე მეტყველებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერაა და არა კონკრეტული პიროვნებების. ვიდრე ოპოზიცია არ მიაღწევს მიზანს - ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შეცვლას, არ დაიშლება,"** - მიიჩნევს ძიძიგური.

# "სახალხო დიალოგის" ინიციატივის განხორციელება იწყება

20 ივლისს პარლამენტში გამართული დებატების დროს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მოსახლეობასთან "სახალხო დიალოგის" დაწყების ინიციატივით გამოვიდა. ამ ინიციატივის რეალიზება უკვე დაიწყო: გუშინ პარლამენტის თავმჯდომარესთან გაიმართა თათბირი, რომელშიც, დავით ბაქრაძესთან ერთად, სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი დავით ტყეშელაშვილი მონაწილეობდნენ.

შეხვედრის დროს სახელისუფლებო გუნდის წევრებმა "სახალხო დიალოგის" დაწყების საორგანიზაციო საკითხები შეათანხმეს.

დავით ტყეშელაშვილის თქმით, "სახალხო დიალოგის" უკეთ წარმართვის მიზნით, შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო ჩინოვნიკების ქმედებების გრაფიკს, აგრეთვე შეიმუშავებს თემებსა და წინადადებებს, რომლებსაც მოსახლეობასთან შეხვედრებისას განიხილავენ. მომზადდება სქემა, რომელ ქალაქსა და სოფელს ეწვევა ესა თუ ის დეპუტატი ან მინისტრი.

მინისტრის განცხადებით, საქართველოს ყველა რეგიონში ჩასვლას და ადგილობრივ მოსახლეობასთან შეხვედრებს პარლამენტის წევრები და მინისტრები მომავალი კვირიდან დაიწყებენ.

**"მოსახლეობასთან შეხვედრები იმ რაიონებიდან დაიწყება, სადაც ყველაზე მეტი პრობლემაა,"** - დასძენს დავით ტყეშელაშვილი, რომელიც "სახალხო დიალოგის" ინიციატივის არჩევნებთან კავშირს გამორიცხავს. როგორც ტყეშელაშვილი აცხადებს, **"ხელისუფლება მოსახლეობის პრობლემების მოსმენით დიდი ხანია, დაკავებულია, მაგრამ ამას ახლა უფრო ინტენსიური და ორგანიზებული სახე მიეცემა."**

*საკუთარი ინფორმაცია*

# გიორგი ღონღაძის მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილი დაკავებულია

## დაკავებულის ჩვენებებმა, შესაძლოა, უკრაინაში ახალი სკანდალი ააგოროს

*ჟურნალისტ გიორგი ღონღაძის მკვლელობაში ეჭვმიტანილი კიდევ ერთი ძალოვანი დააკავეს. გამოძიების ვერსიით, უკრაინის შსს კრიმინალური ძებნის მთავარი სამმართველოს სამძებრო საქმიანობის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი, გენერალ-ლეიტენანტი ალექსეი პუკაჩი მკვლელობის მთავარი შემსრულებელია. გამოძიებისვე ვერსიით, ოპოზიციონერ ჟურნალისტზე თვალთვალი სწორედ პუკაჩმა დააწესა და იგი მილიციის 3 ოფიცერს ხელმძღვანელობდა, რომლებმაც ღონღაძე გაიტაცეს. შემდეგ კი გენერალმა გატაცებული საკუთარი ხელით გაგუდა. უკრაინელმა სამართალდამცველებმა მკვლელობაში ეჭვმიტანილს ჟიტომირის ოლქის ერთ-ერთ სოფელში მიაგნეს, სადაც მას სხვის სახელზე ჰქონდა სახლი ნაყიდი და ფერმერობას მისდევდა.*

საქმე ისაა, რომ ალექსეი პუკაჩი უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ ჯერ კიდევ 2003 წლის ოქტომბერში დააპატიმრა. მას სამსახურებრივი დოკუმენტების განადგურება ედებოდა ბრალად. კერძოდ, იმ ოპერატიული ჯგუფების მიერ შედგენილი ანგარიშების, რომლებიც გიორგი ღონღაძეს ადევნებდნენ თვალს. თუმცა, დაპატიმრებული პუკაჩი სასამართლომ მალევე გაათავისუფლა გაუსვლელობის ხელწერილით, რის შემდეგაც ის მიიმალა. ამ ხნის განმავლობაში მასზე ძებნა იყო გამოცხადებული.

როგორც "იტარ-ტასი" იუწყება, უკრაინის ხელისუფლებამ ჟურნალისტის მკვლელობაში მთავარ ეჭვმიტანილ გენერალზე გაძლიერებული კონტროლი და დაცვა დააწესა. უკრაინის ხელისუფლებაში არ გამორიცხავენ, რომ შესაძლოა, ალექსეი პუკაჩის ლიკვიდაცია მოხდეს, რადგან მკვლელობის დამკვეთები სწორედ მას შეუძლია დაასახელოს.

**"ბევრი გავლენიანი პოლიტიკოსი დაინტერესებულია იმით, რომ გიორგი ღონღაძის მკვლელობის დამკვეთთა ვინაობა არასდროს დასახელდეს. ძებნაში მყოფი ალექსეი პუკაჩის დაკავება პრინციპული იყო იმისთვის, რომ ღონღაძის მკვლელობის საქმეს წერტილი დასმოდა. საზარელ მკვლელობას ფარდა სწორედ ამ ადამიანმა უნდა ახადოს. ჩვენ სამართალდამცველებს დაკავებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მაქსიმალური ზომების მიღება დავავალეთ. მისმა ჩვენებებმა, შესაძლოა, უკრაინაში ახალი სკანდალი ააგოროს, "** - აცხადებს უკრაინის ხელისუფლების პირველი ვიცე-პრემიერი.

გიორგი ღონღაძის მკვლელობაში მონაწილეების თითქმის ორწლიანი სასამართლო პროცესი ისე დასრულდა, რომ უცნობი დარჩა, ვინ იყო ჟურნალისტის მკვლელობის დამკვეთი. უკრაინის მართლმსაჯულების გადაწყვეტილებით, მკვლელობაში ბრალდებულ სამ სამართალდამცველს: ნიკოლაი პროტასოვს - 13, ვალერი კოსტენკოს და ალექსანდრე პოპოვიჩს კი 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ.

დაკავებამდე სამივე მათგანი უკრაინის შს სამინისტროს მეთვალყურეობისა და კრიმინალური დაზვერვის დეპარტამენტში მუშაობდნენ. შესაბამისად, მათ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, თანამდებობრივი წოდებები ჩამოერთვათ და მომავალში სახელმწიფო თანამდებობების დაკავების უფლება აეკრძალათ.

უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ინტერნეტ-გამოცემის "უკრაინსკაია პრავდას" მთავარი რედაქტორი გიორგი ღონღაძე 2000 წლის 16 სექტემბერს დაიკარგა. მისი დაკარგვის გამო, სისხლის სამართლის საქმე ორი მუხლით - "გაუჩინარებისა" და "მკვლელობის" გამო აღიძრა. გიორგი ღონღაძე რამდენიმე თვის მანძილზე დაკარგულად ითვლებოდა, თუმცა არსებობდა საკმაოდ საფუძვლიანი ეჭვი მისი შეკვეთილი მკვლელობის შესახებ.

2000 წლის ნოემბერში კიევის ოლქის ტყეში იპოვეს ცხედარი, თავის გარეშე. ექსპერტთა დასკვნებით, იგი გიორგი ღონღაძეს ეკუთვნოდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტზე უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ მკვლელობის მუხლით სისხლის სამართლის საქმე მაშინვე აღძრა, საქმე რამდენიმე წლის განმავლობაში მაინც გაუხსნელი იყო.

უკრაინაში ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად გააქტიურდა იმ საქმეების გამოძიება, რომელსაც ოპოზიციურად განწყობილი ძალები უშუალოდ პრეზიდენტ კუჩმას უკავშირებდნენ. მას შემდეგ, რაც უკრაინის ახალმა პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ ლეონიდ კუჩმა ამ მკვლელობის დაფარვაში დაადანაშაულა და ევროპარლამენტის დეპუტატებს აღუთქვა, რომ "ღონღაძის საქმე" უახლოეს მომავალში გაიხსნებოდა, უკრაინის სამართალდამცველმა ორგანოებმა დამნაშავეთა დადგენა და მათი დაკავება შეძლეს.

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:** მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# "ჩვენ არასდროს მიგატოვებთ"

პირველი გვერდიდან



AFP ' 2009

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გიგა ბიკერია, აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი და საქართველოს ელჩი აშშ-ში ბათუ ქუთელია დახვდნენ.

საათნახევარში ბაიდენი საქართველოს პრეზიდენტს რეზიდენციაში, ოფიციალურ ვახშამზე ეწვია.

ვახშმის წინ სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ 2003 წლამდე ვერავის წარმოედგინა, რომ საქართველო თანამედროვე სახელმწიფო გახდებოდა. თუმცა, ქვეყანამ მოკლე დროში შეძლო კორუფციის დამარცხება და ძლიერი მთავრობის შექმნა.

**"შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რაც გავაკეთეთ, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია,"** - განაცხადა სააკაშვილმა და აღნიშნა, რომ ამიტომაც გამოაცხადა პარლამენტში გამოსვლისას დემოკრატიული რეფორმების ახალი ტალღის დაწყების შესახებ.

მან გაიხსენა რუსული აგრესია და ისიც აღნიშნა, რომ დღესაც საოკუპაციო ძალები თბილისიდან სულ 25 მილის დაშორებით დგანან.

რუსული სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია. მოსახლეობა საკუთარი სახლებიდან გამოძევებულია, - აღნიშნა პრეზიდენტმა და საქართველოში ეთნიკური წმენდის მასშტაბებს მსოფლიოში უპრეცედენტო უწოდა.

მისი თქმით, გასული წლის აგვისტოში საქათველოში იმავე რაოდენობის ჯარი შემოვიდა, რაც 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში და 1979 წელს ავღანეთში. თუმცა, **"ქართველი ხალხი მაინც მზად არის წინააღმდეგობისთვის".**

**"მეგობრების დახმარებით გავაგრძელებთ ბრძოლას მტრის წინააღმდეგ, რომელსაც ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ჩვენი დამოუკიდებლობის გაუქმება და ისტორიის უკან შემობრუნება სურს**, - განაცხადა სააკაშვილმა, - **ძალიან მნიშვნელოვანია, მთელმა მსოფლიომ გაიგოს - საქართველო არ დანებდება, სანამ მისი დროშა ფრიალებს და სანამ ჩვენს გულებში ღვივის თავისუფლების სიყვარული".**

ამავე დროს, მისი განცხადებით, ასეთ პირობებში ქვეყანას დემოკრატია გაცილებით მეტად სჭირდება, ვიდრე ოდესმე. **"ჩვენთან უსაფრთხო გარემო მხოლოდ მაშინ შეიქმნება, როდესაც დემოკრატიას გავაძლიერებთ,"** - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

**"ვიცით, რომ გრძელი გზა გვაქვს წინ და ჩვენი დასავლელი მეგობრების დახმარება დაგვჭირდება,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, ქართველმა ხალხმა მიიღო შეუქცევადი გადაწყვეტილება, შეურთდეს დასავლეთის დემოკრატიულ სამყაროს. **"20 წლის წინ ბერლინის კედელი დაინგრა, დღეს კი საქართველოს ტერიტორიაზე აღიმართა ბეტონის კედლები და მავთულხლართები. მაგრამ მეგობრების დახმარებით ჩვენს ოცნებას ავისრულებთ და ძლიერ, დემოკრატიულ ქვეყანას ავაშენებთ,"** - განაცხადა სააკაშვილმა.

მან მადლობა გადაუხადა პრეზიდენტ ობამას მტკიცე პოზიციის გამო, რომელიც მან მოსკოვში ვიზიტისას გამოხატა.

მან ასევე გასული წლის აგვისტოში ჯოზეფ ბაიდენთან საუბრები გაიხსენა: **"მე კარგად მახსოვს, როგორ დარეკეთ, როდესაც რუსული ტანკები შემოიჭრნენ ჩვენს ტერიტორიაზე. მაშინ დასავლელი ლიდერები ჩვენ მხარს გვიჭერდნენ. მაგრამ თქვენ მეტი გააკეთეთ. თქვენ კონკრეტული რეკომენდაციები მომეცით. ჩვენ ვისაუბრეთ აგრესიის შედეგების დაძლევაზე და მე დავინახე სინათლე გვირაბის ბოლოს. კიდევ, თქვენ მითხარით - ბევრი გირეკავთ, შესაძლოა ეს შეწყდეს, მაგრამ მე არასდროს მიგატოვებთ".**

სააკაშვილის თქმით, მაშინ ბაიდენმა შეწყვიტა წინასაარჩევნო კამპანია და საქართველოში ჩამოვიდა.

პრეზიდენტის განცხადებით, **"ამერიკაში, ისევე როგორც ყველგან, უამრავი ცინიკოსი და "რეალპოლიტიკის" მიმდევარია. მაგრამ ამერიკაში ცხოვრების სტილს იდეები და ღირებულებები განსაზღვრავს."**

**"შეერთებული შტატები მთელ მსოფლიოში თავისუფლებისმოყვარე ადამიანებისთვის მისაბაძ მაგალითად იქცა,"** - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ამავე საღამოზე მან აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტს გადასცა წიგნი საქართველოს შესახებ და წმინდა გიორგის ორდენით დააჯილდოვა.

როგორც, თავის მხრივ, ჯოზეფ ბაიდენმა აღნიშნა, აგვისტოში საქართველოში ყოფნისას **"მემაყებოდა, რომ თქვენს გვერდით ვიდექი".**

**"დღეს აქ იმისთვის ვარ, რომ ბარაკ ობამას და ამერიკელი ხალხის მთავარი მესიჯი გადმოგცეთ. ვამბობ მათთვის, ვისაც ესმის და მოსმენა სურს - ამერიკა თქვენს გვერდით იყო ყველაზე მძიმე წუთებში და თქვენს მთავარ პარტნიორად დარჩება. ჩვენ არასდროს მიგატოვებთ,"** - განაცხადა აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა.

საქარათველოს მხარდაჭერის მთავარ მიზეზად მან ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები დაასახელა. მისი თქმით, **"ვარდების რევოლუცია" თავისუფლებისმოყვარე მოქალაქეთა ნების გამოხატვა იყო. ის, რაც თქვენმა ხალხმა გააკეთა, საქართველოს ფარგლებს სცილდება".**

**"მთელ მსოფლიოში ხალხები პროტესტს გამოხატავენ და ვარდების რევოლუციას იხსენებენ,"** - განაცხადა ბაიდენმა.

მისი განცხადებით, საქართველო აშშ-სთვის **"სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პარტნიორია"** და ხაზი გაუსვა ქვეყნის განსაკუთრებულ როლს ენერგორესურსების მიწოდებაში.

ჯოზეფ ბაიდენმა ხაზი გაუსვა ასევე ქართველი სამხედროების წვლილს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და განაცხადა, რომ **"შეერთებული შტატები ყოველთვის დაეხმარება საქართველოს უსაფრთხოების საკითხების გადაწყვეტაში, დემოკრატიის გაძლიერებაში და ჩვენს ხალხებს შორის უფრო ახლო ურთიერთობების დამყარებაში".**

**"საქართველო, შეიძლება, პატარა ქვეყანაა. მაგრამ მისი მნიშვნელობა განუზომლად მეტია. რევოლუციის დასაწყისში თქვენ დემოკრატიის დეკლარირება მოახდინეთ. ახლა მნიშვნელოვანია ამ დემოკრატიის გაღრმავება,"** - განაცხადა ჯოზეფ ბაიდენმა.

გამოსვლის ბოლოს მან საქართველოს სადღეგრძელო ამ სიტყვებით შესვა: **"გაუმარჯოს საქართველოს წარმატებას, თქვენს სწრაფვას გახდეთ დამოუკიდებელი, სუვერენული და თავისუფალი სახელმწიფო. საქართველოს გაუმარჯოს!"**

ვიზიტის გუშინდელი დღე პრეზიდენტის რეზიდენციაში მოწყობილი კონცერტით დასრულდა. ვიზიტის ოფიციალური ნაწილი დღეს დაიწყება.

ჯოზეფ ბაიდენი მიხეილ სააკაშვილთან პირისპირ მოლაპარაკებას გამართავს. ასევე შეხვდება ოპოზიციის ლიდერებს და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სიტყვით გამოვა საქართველოს პარლამენტში.

# ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტის გამო თბილისში ავტოსატრანსპორტო მოძრაობა შეზღუდულია

საქართველოში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენის ვიზიტის გამო თბილისში ავტოსატრანსპორტო მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით შეიზღუდა. კერძოდ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, გადაიკეტა კოსტავას გამზირი, ტრანსპორტი შეტრიალდა მელიქიშვილის ქუჩიდან გმირთა მოედნის მიმართულებით. ამასთან, მთლიანად ჩაიკეტა რუსთაველის გამზირი, მისი მიმდებარე ქუჩები და ტერიტორიები, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქუჩა. ასევე გადაიკეტა ავლაბრის რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორია და ქუჩები. გარდა ამისა, მეტროს მატარებელი არ გაჩერდება "რუსთაველის", "თავისუფლების მოედნის" და "ავლაბრის" მეტროსადგურებში. აღნიშნული შეზღუდვები ვიზიტის დასრულებამდე გაგრძელდება. გადაკეტილ ტერიტორიებზე მდგომი პატრულ-ინსპექტორები მოქალაქეებს მიუთითებენ, თუ როგორ უნდა მივიდნენ დანიშნულ ადგილამდე შემოვლითი გზებით.

*პირველი*

## ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები და პენსიონერები გოკა გაბაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ

ძალოვანი სტრუქტურების ვეტერანები და პენსიონერები გოკა გაბაშვილისგან ბოდიშის მოხდას ითხოვენ, - ეს გადაწყვეტილება გუშინ პარლამენტში გამართულ ბრიფინგზე "ქრისტიან-დემოკრატებმა" გაახმოვანეს და განაცხადეს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ვეტერანები და პენსიონერები სარჩელს სასამართლოში შეიტანენ. ბრიფინგი ფრაქციის თავმჯდომარემ გიორგი ახვლედიანმა ძალოვანი სტრუქტურის პენსიონერებთან ერთად გამართა. როგორც ახვლედიანმა აღნიშნა, პოლიტიკური დებატების დროს მან პრეზიდენტს ჰკითხა, იცის თუ არა, რომ 2004 წელს კომპენსაციების შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა, რითიც 50 ათას პენსიონერს პენსიის გაზრდის უფლება გაუუქმდა. ახვლედიანის თქმით, პრეზიდენტმა მის კითხვას არ უპასუხა. სამაგიეროდ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გოკა გაბაშვილმა მოინდომა და მან, ახვლედიანის თქმით, ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა, რადგან განაცხადა, რომ "გასარკვევია, ამ ადამიანებმა ეს ჯილდოები და ჩინები როგორ მიიღეს." ამ განცხადებამ ძალოვანი უწყების პენსიონერების აღშფოთება გამოიწვია და გოკა გაბაშვილისგან ბოდიშის მოხდა მოითხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებენ. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "ქართული არმიის ხელახალი შეიარაღება ძალიან მახარებს"

სეპარატისტული აფხაზეთის ე.წ. თავდაცვის მინისტრი მერაბ ქიშმარია კვლავ საქართველოდან მომავალი ომის საფრთხეზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ "აგვისტოს ომში დამარცხების მიუხედავად, საქართველოს მხრიდან აფხაზეთზე თავდასხმის საფრთხე მაინც არსებობს." ეს განცხადება მერაბ ქიშმარიამ რუსულ ყოველკვირეულ ჟურნალ "ვოენნო-პრომიშლენნი კურიერთან" საუბრისას გააკეთა. "საქართველო აგრძელებს შეიარაღებას, თანაც საკმაოდ სერიოზული ტემპებით," - აცხადებს ქიშმარია. "ცხადია, ისინი რაღაცისთვის ემზადებიან, თუმცა არც ჩვენ გვძინავს, ჩვენც შესაბამის სამხედრო მომზადებას ვატარებთ და რეგულარულად ვიწვრთნებით," - დასძენს იგი.

ამასთან, სერგეი ბაგაფშის კრიმინალური მთავრობის ე.წ. თავდაცვის მინისტრი ირონიულად აღნიშნავს, რომ მას ქართული არმიის ხელახალი შეიარაღება ძალიან ახარებს. "არ შეიძლება, ქართული არმიის ხელახალი შეიარაღება არ მახარებდეს, რადგან ის იარაღი, რომელიც მათთან საზღვარგარეთიდან შემოდის, საბოლოო ჯამში მაინც ჩვენი კუთვნილება ხდება. ამ ფაქტზე საბრძოლო მოქმედებების დროინდელი გამოცდილებაც მეტყველებს, როდესაც ტექნიკას ბრძოლის ველზე ტოვებდნენ, რომელიც ჩვენს ხელში ხვდებოდა," - აცხადებს მერაბ ქიშმარია და დასძენს, რომ აგვისტოში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შემდეგ აფხაზურმა ე.წ. არმიამ თავისი არსენალი სერიოზულად შეავსო. **ჯი-ეიჩ-ენი**

## აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყეებში გაიხიზნა

ქართულ მოსახლეობას რუსმა ოკუპანტებმა ,გალის ცენტრალური ხიდის გარდა, ყველა გზა გადაუკეტეს. ადმინისტრაციულ საზღვართან დამატებითი რუსული ქვედანაყოფებია მობილიზებული. სიტუაციას გენერლები ჩაბანი და პალუჩენკო აკონტროლებენ. მათი ვერტმფრენები "მი 22" და "მი 24" გალში გუშინ დაჯდნენ. აფხაზური მოსახლეობის დიდი ნაწილი ტყეებშია გახიზნული.

გუშინვე გალის რაიონის სოფელ მეორე ოტობაიადან რუსმა ოკუპანტებმა ოტობაია-ზუგდიდის მიმართულებით მიმავალი მიკროავტობუსი გაიტაცეს. ამის შესახებ აფხაზეთის მედიაცენტრიდან გვაცნობეს. არსებული ინფორმაციით, ოკუპანტებმა ავტობუსში მყოფ 14-მდე მგზავრს პირადი ნივთები წაართვეს და გალის მიმართულებით წაიყვანეს.

ამ ფაქტს ადგილობრივი მოსახლეობაც ადასტურებს. გატაცებულთა ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია.

აფხაზი ე.წ. მილიციელები კი სეპარატისტულ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებენ. აფხაზური სამხედრო შენაერთები უარს ამბობენ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების იმ გადაწყვეტილების შესრულებაზე, რომელიც მათ გალის რაიონის გარკვეული პერიმეტრის დატოვებას ავალდებულებს. თუმცა, აფხაზი ე.წ. მილიციელები, მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, რუსმა ოკუპანტებმა გალის რაიონიდან ძალით გამოაძევეს. არსებული ინფორმაციით, აფხაზური შენაერთების ნაწილი ამ დროისთვის ოჩამჩირის ტყეშია განლაგებული და სეპარატისტულ ხელისუფლებას დაუმორჩილებლობას უცხადებს. ტყეში გახიზნულთა რაოდენობა თანდათან მატულობს. ამ დროისთვის რუსი ოკუპანტები როგორც ენგურის მიმდებარე პერიმეტრს, ისე გალის რაიონის ტერიტორიას მთლიანად აკონტროლებენ. აფხაზი მილიციელების მოსაძებნად და განსაიარაღებლად გუშინ რუსი ოკუპანტების ფიჩორის სამხედრო ბაზიდან გალის რაიონის მიმართულებით დამატებითი რაზმები გაიგზავნა.

დღეიდან კი, გალის რაიონის მოსახლეობის ინფორმაციით, აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრები ჩაიკეტება. როგორც ინფორმირებულმა წყარომ გვაცნობა, გალის მოსახლეობამ რუსი მესაზღვრეებისგან შესაბამისი გაფრთხილება მიიღო. ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციით, გადასვლა მხოლოდ ცენტრალური ხიდით იქნება შესაძლებელი, ყველა სხვა გადასვლელი კი ოკუპანტების მიერ ჩაიკეტება.

დღემდე მოსახლეობა ზუგდიდის რაიონში გადასვლას სოფელ ხურჩის გავლითაც ახერხებდა. **პირველი**

# გუანტანამოს ციხე შესაძლოა 2010 წლისთვის აღარ დაიხუროს

მარიკა იაშვილი

ამერიკის ხელისუფლებამ ვერ მოასწრო გუანტანამოს ციხის დახურვისთვის აუცილებელი საკვანძო დოკუმენტის მომზადება. ამიტომ შესაძლოა, პრეზიდენტმა ობამამ ვერ შეძლოს თავისი დაპირების შესრულება და წლის ბოლომდე ვერ მოესწროს ტერორიზმში ეჭვმიტანილთათვის განკუთვნილი ციხის ლიკვიდაცია.

აშშ-ს ადმინისტრაციაში კუნძულ კუბაზე არსებული სკანდალური ციხის პატიმრების ბედი ჯერ კიდევ სერიოზულ კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, თუმცა მიუხედავად ამისა, ქვეყნის ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ დახურვის პროცესის მზადებაში არსებული დაგვიანებების მიუხედავად, ლიკვიდაცია წინასწარ გათვალისწინებული დროისთვის მოხერხდება.


AFP ' 2009

საკვანძო ანგარიშის მომზადება, რომელიც ტერორიზმში ეჭვმიტანილთა მომავალ ადგილსამყოფელს შეეხება, ნახევარი წლით გვიანდება. მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მოხსენება ეჭვმიტანილთა დაკითხვისა და მათი სხვა ქვეყნებში ტრანსპორტის შესახებ ჯერჯერობით მხოლოდ ორი თვით იგვიანებს.

დროულად მხოლოდ ერთადერთი დოკუმენტი - შუალედური ანგარიში მომზადდა, რომელიც ტერორიზმში ეჭვმიტანილთა დაკავების სამომავლო ამოცანებს ადგენს. დოკუმენტი რეკომენდაციას უწევს შესაბამის ორგანოებს, „პატიმრებს რაც შეიძლება მალე წაუყენონ ბრალი ფედერალურ სასამართლოში ან საქმის სამხედრო ტრიბუნალის მიერ განხილვისას.“

განაჩენი მხოლოდ იმ შემთხვევაში აღსრულდება, თუ ეჭვმიტანილის ბრალეულობას „კანონიერი სასამართლო დაადგენს და პირს წაყენებული ბრალდებებისგან სრულად თავდაცვის საშუალება ექნება,“ - მიუთითებენ დოკუმენტის ავტორები.

სამივე დოკუმენტის მომზადების აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბარაკ ობამამ პრეზიდენტის პოსტი დაიკავა და განაცხადა, რომ გუანტანამოს ციხე არსებობას 2010 წლამდე შეწყვეტდა. ექსპერტები თავიდანვე ფიქრობდნენ, რომ ანგარიშების მომზადებაში გარღვევები იქნებოდა, მაგრამ მომხდარი შეფერხებების გამო ისინი უკვე ვარაუდობენ, რომ ციხის ლიკვიდაციის გეგმა დათქმულ ვადებში ვერ განხორციელდება.

საპატიმროს ლიკვიდაციის შესახებ დოკუმენტს ექვსი თვის წინ მოეწერა ხელი და ამ ხნის განმავლობაში კუბაზე არსებული ბანაკიდან სხვა პენიტენციალურ დაწესებულებებში 245-დან მხოლოდ 20 პატიმარი გადაიყვანეს.

ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლები ძველებურად ამტკიცებენ, რომ წინასწარ დათქმული ვადები კვლავ ძალაში რჩება და გუანტანამოს სკანდალური ციხე 2010 წლის დადგომამდე შეწყვეტს არსებობას.

# ჩინეთ-რუსეთის მანევრები პოლიტიკური განცხადებების თანხლებით

ივა შილაკაძე

22 ივლისს რუსეთისა და ჩინეთის ერთობლივი ანტიტერორისტული სწავლება „სამშვიდობო მისია 2009“ გენერალური შტაბების უფროსების სამხედრო-პოლიტიკური კონსულტაციებით დაიწყო. კონსულტაციები რუსეთის საზღვრისპირა ქალაქ ხაბაროვსკში გაიმართა, ხოლო თვითონ სწავლება, უფრო სწორად, მისი აქტიური ფაზა დღეს, 23 ივლისს ჩინეთის ტერიტორიაზე, დასახლებულ პუნქტ ბაიჩენის მახლობლად მდებარე პოლიგონ ტაონიანზე დაიწყება და 26 ივლისამდე გაგრძელდება. მანევრების ნაწილი რუსეთის მხარესაც ჩატარდება. სწავლებაში თითოეული მხრიდან, დაახლოებით, 1300 სამხედრო მოსამსახურე მიიღებს მონაწილეობას - ძირითადად, სახმელეთო ძალები და ავიაცია. ასეთი სწავლება 2005 წლის შემდეგ მეორედ ტარდება.

რუსეთი და ჩინეთი სამხედრო სფეროში დიდი ხნის პარტნიორებად მიიჩნევიან, თუმცა ისტორიას ახსოვს ეპიზოდებიც, როდესაც ისინი ფრონტის ხაზის სხვადასხვა მხარეს იყვნენ. ეს იყო, ძირითადად, სასაზღვრო ინციდენტების სერია 1960-1970-იან წლებში, რომელთაგან ყველაზე სერიოზული და სისხლიანი 1969 წელს კუნძულ დამანსკთან მოხდა. დღეს ორი ქვეყანა აქტიურად ცდილობს ძველი პარტნიორობის აღდგენას. ჩინეთის არმია რაოდენობით ყველაზე დიდია მსოფლიოში, ბოლო პერიოდში მკვეთრად გაუმჯობესდა მისი აღჭურვა თანამედროვე შეიარაღებით. ის ერთ-ერთი ყველაზე ანგარიშგასაწევი ძალაა მსოფლიოში, თუმცა ჩინეთის სამხედრო დოქტრინაც და შეიარაღებაც, ძირითადად, თავდაცვით ბრძოლებზეა გათვლილი.

ამჟამინდელ სწავლებებში ყველაზე საინტერესო სწორედ მისი პოლიტიკური ნაწილია. რუსეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მაკაროვმა განაცხადა, რომ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში არსებული არასტაბილურობის გამო რუსეთმა და ჩინეთმა სამხედრო თანამშრომლობა უნდა გაზარდონ. მაკაროვის სიტყვებით, ეს, პირველ რიგში, გამოწვეულია ჩრდილოეთ კორეის გარშემო შექმნილი გამწვავებული სიტუაციით, კერძოდ - მის მიერ განხორციელებული რაკეტების გამოცდის სერიით. თუმცა, მაკაროვის სიტყვებით, საფრთხე მარტო ჩრდილოეთ კორეიდან არ მოდის. მის საპასუხოდ შეიარაღებას ზრდიან იაპონია და სამხრეთ კორეა. თავის მხრივ მაკაროვის ჩინელმა კოლეგამ, სახალხო გამათავისუფლებელი არმიის გენერალური შტაბის უფროსმა ჩენ ბინდემ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა (ჩინეთი დღემდე რჩება ჩრდილოეთ კორეის ყველაზე ახლო მოკავშირედ) მხარს უჭერს კორეის ნახევარკუნძულის არაბირთვულ სტატუსს, თუმცა მიაჩნია, რომ კორეული პრობლემა მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით უნდა მოგვარდეს.

რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა ყურადღება გაამახვილა სხვა ფაქტორებზეც, რომლებიც ჩინეთისა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობას განაპირობებს. ეს არის სიტუაცია ავღანეთსა და ერაყში. მაკაროვის სიტყვებით, ავღანეთში მოსალოდნელია სიტუაციის კიდევ უფრო გართულება, ერაყში ჯერ კიდევ არის სამოქალაქო ომის გაჩაღების და ქვეყნის რამდენიმე ნაწილად დაშლის საშიშროება. რეგიონში არსებულ საფრთხეებზე საუბრისას დასახელდა ტერორიზმი, რელიგიურ-პოლიტიკური ექსტრემიზმი, ნარკობიზნესი, ორგანიზებული დანაშაული და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება.

კორეის თემას გამოეხმაურა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვიც. მან განაცხადა, რომ რუსეთის აზრით, ჩრდილოეთ კორეამ არსებული რეზოლუცია უნდა შეასრულოს. ლავროვი ასევე მიზანშეუწონლად მიიჩნევს კორეისთვის დამატებითი სანქციებით დამუქრებას. ლავროვმა თეირანსაც მოუწოდა, მალე უპასუხოს ბოლო შეთავაზებებს ფორმულით 5+1, რომელიც ირანის ბირთვული პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაა.

რუსეთ-ჩინეთის ამჟამინდელი მანევრების მსგავსი ღონისძიება ბოლოს 2007 წელს გაიმართა. მაშინ მასში შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სახელმწიფოები: ყაზახეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და ყირგიზეთიც მონაწილეობდნენ.

საზაფხულო 25%-იანი ფასდაკლება






## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი აცხადებს კონკურსს რადიოლოგის შემდეგ ვაკანსიებზე:**

**რენტგენოლოგი - 1,**
**რენტგენომამოგრაფიის სპეციალისტი - 1.**

მოთხოვნები:

1. სახელმწიფო სერთიფიკატი შესაბამის სამედიცინო საქმიანობაში;
2. პროფესიული მუშაობის გამოცდილება, სამუშაო სტაჟი 5 წ.
3. უცხო ენების ცოდნა (ინგლისური);
4. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა.

საკონკურსო განაცხადის შემოტანის ვადა 2009 წლის 1 სექტემბრამდე.

**მისამართი: ქ. თბილისი, თენგიზ აბულაძის ქ. N 20**
**ტელ: 913 119, 913 242**

## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

**გთავაზობთ:**

**ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;**

# სიახლე! დასვენება 50 ლარად!

**ბაზალეთის სასტუმრო კომპლექსში საუკეთესო ფასად, ღამისთევის გარეშე, მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ დაისვენოთ, გაერთოთ და მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურება:**

- ერთჯერადი კვება ( მსუბუქი ლანჩი)
- პლაჟი (ქოლგა, შეზლონგი)
- ღია აუზი (ქოლგა, შეზლონგი)
- წყლის ველოსიპედები, იალქნიანი და გასაბერი ნავები
- სპორტული მოედნები (პლაჟის ფრენბურთი, ჩოგბურთის კორტი)
- საბავშვო ატრაქციონები
- უფასო ავტოსადგომი
- 6 წლამდე ბავშვებისთვის უფასოდ
- ბავშვები 6-დან 12 წლამდე 50% ფასდაკლებით.



**ეს ყველაფერი მხოლოდ 50 ლარად!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 44 99 77 (შიდა: 30-01 ან 30-02)**

# მალკოვიჩი - სერიული მკვლელი

ექსპერიმენტული სპექტაკლი, სახელწოდებით The infernal Comedy: Confessions of a serial killer („ჯოჯოხეთის კომედია: სერიული მკვლელის აღსარება“), რომელშიც მთავარ როლს ჯონ მალკოვიჩი თამაშობს, საგასტროლოდ გაემგზავრება ევროპაში, კერძოდ: ესპანეთში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში. ამის შესახებ მსახიობმა კარლოვივარის კინოფესტივალზე გამოსვლისას განაცხადა, იუწყება AFR-ი.

„ჯოჯოხეთის კომედიის“ ავტორი და დამდგმელია მიხეილ შტურმინგერი (Michael Sturminger). მან ის ვენის Ronacher-ის თეატრში განახორციელა. ამ სპექტაკლის პრემიერა 2009 წლის 1 ივლისს გაიმართა. აშშ-ში ეს წარმოდგენა 2008 წლის განმავლობაში გადიოდა სახელწოდებით Seduction and Despair („მოხიბვლა და სასოწარკვეთა“). პიესა ეძღვნება მეძავების ავსტრიელს მკვლელის, ჯეკ უნტერვეგერის ისტორიას. მან ციხეში რამდენიმე ლიტერატურული ნაწარმოები დაწერა და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

აღნიშნულ კინოფესტივალზე მალკოვიჩი ჩავიდა, რათა მიეღო „ბროლის გლობუსი“, რომელიც მას მსოფლიო კინოხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცა. ჟურნალისტებთან საუბრისას მან უნტერვეგერის როლთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ვეჭვობ არსებობდეს პერსონაჟი, რომლის თამაშსაც ვერ შევძლებდიო. „ვილაცამ ეკატერინე დიდზე საქვეყნოდ გახმაურებული ისტორია დაწერა; შევძლებდი კი მისი როლის თამაშს? რა თქმა უნდა“, - აი, ასეთი მაგალითი მოიყვანა პრესკონფერენციაზე მალკოვიჩმა.

კინოფესტივალის ფარგლებში, მის საპატივსაცემოდ ორი ფილმი აჩვენეს, პირველი - „ზევით მოცეკვავე“, რომელიც მალკოვიჩის, როგორც კინორეჟისორის, დებიუტს წარმოადგენს და დოკუმენტური „გზა სახლისაკენ“, რომლის პროდიუსერიც თავად გახლავთ. აღსანიშნავია, რომ 2008 წელს მას პრესტიჟული ფრანგული პრემია - „მოლიერი“ ამერიკელი დრამატურგის - ზაკა ჰელმას პიესის, სახელწოდებით „Good canary“, გაცოცხლებისათვის გადაეცა.

მალკოვიჩის შემოქმედებითი ბიოგრაფია და ჯილდოები, რომლებიც მან ათეული წლების მანძილზე დააგროვა, დასტურია იმისა, რომ ამ სფეროში მისთვის დაუძლეველი არაფერია. არაერთი წარმატებით განხორციელებული როლის შემდეგ, ევროპელ მაყურებელს საშუალება ეძლევა ის სერიული მკვლელის გმირში ამოიცნოს.

გაზეთი The Los angeles Times-ი წერდა, რომ შტურმინგერმა ეს პიესა სპეციალურად მალკოვიჩისთვის შექმნა და მსახიობი პიესის რეჟისურაშიც კი ჩართოო. ამ სპექტაკლისათვის მუსიკა კომპოზიტორმა მარტის ჰასელბოკმა (Martin Haselboeck) დაწერა. თუმცა, რეჟისორის ჩანაფიქრის თანახმად, დადგმაში ორიგინალურ მუსიკასთან ერთად მოცარტის, ჰაიდნისა და ჰენდელის ნაწარმოებებიდან აღებულ კლასიკურ არიებს გამოიყენებენ.

ჯეკ (იოჰან) უნტვერგერი პირველად 1974 წელს, მეძავის მკვლელობისთვის გაასამართლეს. ციხეში ყოფნისას მან დაწერა რამდენიმე მოთხრობა, პიესა და ლექსი, ასევე, ავტობიოგრაფია, რომელიც ავსტრიაში განსაკუთრებით პოპულარულია. მან იმდენად ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, რომ გავლენიანი ინტელექტუალების ჯგუფმა, რომელშიც ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი, ელფრიდა ელინეკიც შედიოდა, უნტერვეგერის გათავისუფლების თხოვნის პეტიცია დაწერა. ის 1990-იან წლებში გაათავისუფლეს, ხოლო 1992 წელს, ამჯერად უკვე აშშ-ში დააკავეს და ერთდროულად რამდენიმე მკვლელობისთვის დასდეს ბრალი. მოგვიანებით ის გადასცეს ავსტრიას, სადაც 1994 წელს, 9 ქალის მკვლელობისთვის, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მან თავი განაჩენის გამოტანის პირველივე ღამეს ჩამოიხრჩო.

*24 საათი*



დედა ნათელა კაკაშვილი, მეუღლე იზა გულორდავა, შვილები რეზიკო და ვახტანგი, დები მარინა, ირინა, ნანა, სიძეები ვახტანგ ქავთარაძე და ალეკო მაჭავარიანი, სიდედრი დოდო გულორდავა, ცოლისძმა გია გულორდავა, დეიდა, ბიძები, მამიდები, დისშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან, რომ ავიაკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა

**გივი რევაზის ძე ჭკადუა**

პანაშვიდი: 23 და 24 ივლისს, 16.00 საათზე (თბილისი, აკ. წერეთლის გამზირი, კორპ. X, სადარბაზო - I, მე-8 სართული);

გადასვენება: 25 ივლისს, დღით შაბათს, 11.00 სთ-ზე დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში;

გამოსვენება: დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიიდან 25 ივლისს, დღით შაბათს, 14.00 საათზე.

# ეს რუბენსის ხელია?!

## სატელევიზიო სიუჟეტის შემდეგ გამოაშკარავებული ფაქტები



ხატია ჯიჯეიშვილის ფოტოები

*ხელოვნებათმცოდნე ლელა წიწუაშვილი რუბენსის სახელოსნოს ნაწარმოებთან „სასიყვარულო სცენა“.*

სოფო კილასონია

*დაახლოებით ორი კვირის წინ, გადაცემის „P.S.კურიერი“ ერთ-ერთმა სიუჟეტმა საქართველოს ხელოვნების მუზეუმში აშკარა დინამიკა გამოიწვია. - რას წარმოადგენდა რეალურად რუბენსის სკოლას მიკუთვნებული ნამუშევარი? - ეს გახლდათ ამოსავალი შეკითხვა სატელევიზიო სიუჟეტში. სავარაუდო სიმართლეს კი ეძებდა ამ ფერწერული ნაწარმოების რესტავრატორი, ქალბატონი ნანა მანაგაძე. მხოლოდ სატელევიზიო სიუჟეტის ხილვის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ მუზეუმში ამ ნამუშევრის შესახებ ბევრად მეტი იყო ცნობილი და ბევრად ღრმა კვლევა და ანალიზი გახლდათ უკვე ჩატარებული. სწორედ ამიტომ მუზეუმიდან „24 საათს“ დაუკავშირდნენ.*

ქალბატონი ნანა მანაგაძის პროფესიული ვარაუდები, თითქოს ეს სურათი არა რუბენსის სკოლის, არამედ უშუალოდ რუბენსის სახელოსნოს ნამუშევარია, სინამდვილეში სულ არ ყოფილა მხოლოდ რესტავრატორის ვარაუდი, ანდა საკამათო საკითხი. მაგრამ სანამ ნაწარმოების ავტორობის საკითხის ძიებას ჩვენც დავიწყებდით, მანამდე სურათის უახლოესი წარსული მოვიკითხეთ. დავინტერესდით, რა მდგომარეობაში მიიღო ის ქალბატონმა ნანამ და რა სამუშაოები ჩაატარა მის აღსადგენად. აღმოჩნდა, რომ „სასიყვარულო სცენად“ წოდებულ ფერწერულ სურათს თბილისის ხელოვნების მუზეუმში იოლი ბედი არ ჰქონია. ნანა მანაგადძის ხელში ის გადმოვიდა მას შემდეგ, რაც ჯერ მუზეუმში კიდევ ცხელი წყლის ჯერ კიდევ საბჭოთა მილი გასკდა და მდუღარე წყალმა ნაწარმოები სასტიკად დააზიანა. ლაქი, რომელიც მხატვრობის ფენას ფარავდა დადნა, დაიშალა და ადგილ-ადგილ ზეთის საღებავს შეერია.



*რესტავრაციამდე, ცხელი წყლით დაზიანების შემდეგ.*

მას შემდეგ ამ ფერწერულ ნაწარმოებს, რომელიც ასე რიგად ჰგავს რუბენსის ხელწერას, საგამოფენო სივრცის შუქი არ უნახავს, არც დამთვალიერებელთ შეუვლიათ თვალი მისი სიფაქიზისა და სინატიფისთვის... ქალბატონმა ნანა მანაგაძემ ამ ნამუშევრის ეტაპობრივი რესტავრაცია დაიწყო. დღეს ნამუშევარის ზედაპირზე პატარ-პატარა დეფექტებს „ავსებს“, თუმცა ხელუხლებელს ტოვებს დიდ „შრამს“, რომელიც ქალის სახეს სერავს. აუცილებელი ამოავსო, მაგრამ მასთან მიმართებაში სიფრთხილეა საჭირო, ამიტომაც რესტავრაციას კონსერვაცია ჩაენაცვლება.

საკმარისი გახლდათ კიდევ უფრო ღრმად ჩაგვეხედა ამ ნამუშევრის ბიოგრაფიაში, რათა გაგვეგო, რომ უკვე 1989 წელს მუზეუმის მეცნიერებს მხოლოდ დღეს ტელევიზიით გახმოვანებული „სიმართლე“ უკვე დადგენილი ჰქონიათ. მას შემდეგ, მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, ქალბატონმა ლელა წიწუაშვილმა ამ ნამუშევრის წარსულის შესახებ საგანგებო კვლევა ჩაატარა და ყოველივე 1999 წელს მოხსენების სახით წაიკითხა. მოკლედ და კონკრეტულად, **არსებობს დასკვნა, რომ XVII საუკუნის I ნახევრის ფლამანდური ფერწერის ნიმუში - „სასიყვარულო სცენა“ რუბენსის სახელოსნოს შემოქმედებაა, რაც ავტომატირად გულისხმობს იმასაც, რომ თავად მაესტროს ხელი მას აუცილებლად შეეხებოდა.** მაგრამ სანამ ამ დასკვნამდე მივიდოდნენ, რესტავრატორებმა, ექსპერტებმა და ხელოვნებათმცოდნეებმა სხვადასხვა დროს ძიების სხვადასხვა ეტაპი განვლეს...

1956 წელს, მაშინდელი ლენინგრადის მუზეუმის კოლექციათა მორიგი განტვირთვა დაიგეგმა და ამავე წელს ერმიტაჟიდან თბილისის მუზეუმს გადმოეცა **რუბენსის სკოლის უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული ფერწერული ტილო „სასიყვარულო სცენა“.** შესრულებული ზეთის საღებავებით დაფაზე. წლების შემდეგ ეს სურათი ხელოვნებათმცოდნე ლელა წიწუაშვილის ინტერესის სფეროში მოექცა და რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ მან მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებს ამ ექსპონატის ტექნოლოგიური გამოკვლევების შედეგები მოახსენა. ამ შედეგებზე მეცნიერი ჩვენც გაგვესაუბრა:

„ჩემი მუშოაბის დროს, ანუ მოხსენების გაკეთებამდე, ხელოვნების მუზეუმის ტექნოლოგიური კვლევების განყოფილებაში ჩატარდა სურათის სრული ტექნოლოგიური გამოკვლევა ბინოკულარული მიკროსკოპის, ულტრაიისფერი და ინფრაწითელი დასხივების, რენტგენოგრაფიისა და მაკროფოტოგადაღების გამოყენებით. მონაცემები ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რის შედეგადაც ვივარაუდეთ, რომ ეს სურათი გაცილებით ახლოსაა რუბენსის სახელოსნოსთან, ვიდრე რუბენსის სკოლასთან.“

**- გავმიჯნოთ რუბენსის სკოლა და რუბენსის სახელოსნო!**

- ცნება - „რუბენსის სკოლა“ ძალზე ფართოა და მოიცავს დიდ დიაპაზონს. პიტერ-პაულ რუბენსი (1577-1640) იმდენად ცნობილი და პოპულარული მხატვარი იყო, რომ მას ჰყავდა არამარტო მოწაფეები, არამედ უამრავი მიმდევარი და მიმბაძველი. აქედან წარმოიშვა ეს ტერმინი „რუბენსის სკოლა“. მაგრამ ცნობილია აგრეთვე „რუბენსის სახელოსნო“.

გაგრძელება A7 გვერდზე



„სასიყვარულო სცენისა" და რუბენსის „სუსანა ფოურმენის პორტრეტის" დეტალები შედარებისთვის.

A6 გვერდიდან

უკვე XVII საუკუნის დასაწყისში იგი ითვლებოდა არა მარტო ფლამანდური მხატვრული სკოლის მთავარ წარმომადგენლად, არამედ სარგებლობდა პედაგოგის უდიდესი ავტორიტეტით. მისივე წერილიდან ვიგებთ, რომ უკვე 1611 წელს მისი მოწაფეთა რიცხვი იმდენად დიდი იყო, რომ ზოგიერთ მათგანს სხვა მხატვართან უხდებოდა მრავალი წლის გატარება ვაკანტური ადგილის მოლოდინში. რუბენსი ასრულებდა უამრავ შეკვეთას, რაც აიძულებდა გადაეცა შესასრულებლად ნაწილი ნამუშევრები თავის მოწაფეებისთვის.

შეკვეთის მიღებისს რუბენსი ქმნიდა ესკიზებს - იდეებს, ხშირად ცალკეული დეტალების ვრცელი ნახატებით და შემდეგ გადასცემდა ამ მასალას შესასრულებლად თავის თანამშრომლებს. თავად რუბენსი ბოლომდე ასრულებდა მხოლოდ მცირე ფორმატის სურათებს. მაგრამ ყველა ნამუშევარზე, რომელიც იქმნებოდა რუბენსის სახელოსნოში, უკანასკნელი კორექტივები და შესწორებები მხოლოდ თავად ოსტატს შეჰქონდა.

**- როგორ ხდება სურათების ტექნოლოგიური კვევა ზოგადად და რა მოხდა ამ ნაწარმოებთან მიმართებაში?**

- ნაწარმოების ატრიბუცია იწყება უპირველეს ყოვლისა სტილისტური ანალიზით, საანალიზო სურათის შედარებით სავარაუდო მხატვრის, სკოლის ან გარკვეული მიმართულების უკვე აღიარებულ ნაწარმოებებთან. ამის შემდეგ ხდება მათი ტექნოლოგიური მონაცემების დეტალური შეჯერება არსებულ ეტალონებთან. ამ შემთხვევაში ეტალონად იგულისხმება მხატვრის ისეთი ნამუშევრები, რომლებშიც მისი ავტორობა არ იწვევს ეჭვს და ლიტერატურაში აღწერილია აგრეთვე მისი ტექნოლოგიური მონაცემებიც. ესაა უაღრესად საინტერესო, მაგრამ ამასთანავე საკმაოდ შრომატევადი და რთული სამუშაო.

რაც შეეხება კონკრეტულად ამ ნაწარმოებს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს „სასიყვარულო სცენის" კომპოზიციური სიახლოვე რუბენსის ნაწარმოებებთან. ამას გარდა, აღსანიშნავია ტიპაჟების მსგავსებაც, „სასიყვარულო სცენის" პერსონაჟებს ბევრი საერთო ნიშნები გააჩნიათ რუბენსის ტიპთან. ქალის გარეგნობაში უდაოდ დიდი მსგავსებაა რუბენსის ცნობილ „სუსანა ფოურმენის პორტრეტთან" (როტერდამი), პორტრეტთან „ქალბატონი ბაონენის ოჯახიდან" (ლუვრი), თავის პირველი ცოლის იზაბელ ბრანტის პორტრეტებთან (ერთი ინახება ფლორენციაში, მეორე კი ოჰაიოს კლივლენდის მუზეუმში), „ვენერა და ბახუსი" (1616-1619; ბრიუსელის სამეფო მუზეუმიდან), „ვენერა სარკის წინ" (ლიხტენშტეინიდან) და ა.შ. „სასიყვარულო სცენის" ქალის პერსონაჟისა და ჩამოთვლილი ნაწარმოებების პერსონაჟთა სახის ნაკვთებში ბევრი საერთო ნიშნებია. ეს, უპირველეს ყოვლისა, თვალის ჭრილის დამუშავებაში ვლინდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ვიზუალური, გარეგნული მსგავსებისა, ჩვენ ამ შედარებისას ძალზე დაგვეხმარა მაკროფოტოგადაღება (ანუ სურათის ცალკეული დეტალების გადიდებული ფიქსირება), რამაც თავის დროზე, კვლევისას საშუალებას მოგვცა გამოგვევლინა ფერწერული ფენის ფაქტურა და მაქსიმალურად შეგვქმნოდა წარმოდგენა მხატვრის დამახასიათებელ ხელწერაზე.



რენტგენოგრაფია - ქალის სახე „სასიყვარულო სცენიდან", პირველადი ფენა ქალის ბევრად ასაკოვან ტიპს გვიჩვენებს.

**- საბოლოოდ როგორი შედეგები გამოილო ჩვენს მუზეუმში ჩატარებულმა ამ ტექნოლოგიურმა კვლევამ? რამდენადაც ვიცი, პეტერბურგელი მკვლევარების ექსპერტიზამ 1989 წელს თქვენი მოსაზრება, რომ ეს ნამუშევარი რუბენსის სახელოსნოდან გამოვიდა, დაასაბუთა...**

- დიახ, ჩვენი კვლევის შედეგები იმდენად საინტერესო აღმოჩნდა, რომ ჩვენ დახმარებისათვის მივმართეთ მოსკოვში რუსეთის გრაბარის სახელობის მხატვრულ სამეცნიერო-სარესტავრაციო ცენტრის თანამშრომლებს.

ჩამოვიდნენ - დასავლეთ-ევროპული ხელოვნების სპეციალისტი ელენე სედოვა და რენდგენოლოგი ირინე ბელიაევა.

მათგან შევიტყვეთ, რომ კიდევ არსებობს მსგავსი კომპოზიციები: სურათი „რუბენსი და მისი ცოლი" (ემთხვევა კომპოზიცია, მხოლოდ მოსამსახურის გარეშე). „ჩახუტებული წყვილი (მოხუცის გარეშე) მენინგენის მუზეუმიდან, საქსონია და ა.შ.

ჩვენი კოლეგები მთლიანად დაეთანხმნენ ჩვენს ატრიბუციას. ჩვენ არ ვამტკიცებთ, რომ „სასიყვარულო სცენა" თავად რუბენსის ნამუშევარია, ამის საფუძველი არ გაგვაჩნია, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს ნამუშევარი უდაოდ შესრულებულია XVII საუკუნის I ნახევარში და ეკუთვნის არა რუბენსის სკოლას, არამედ მის სახელოსნოს.

**- თქვენი მოხსენება მოიცავს ძალიან დეტალურ ანალიზს. თუნდაც ქალის სახის თითოეული მონასმის შედარებას ანალოგებთან, რომლებიც აშკარად რუბენსის ხელს ეკუთვნის. მსგავსება იმდენად დიდია, როგორც ერთი თავლის შევლებით, ისე რედგენისა და სხვა ტექნოლოგიური კვლევების შედეგებზე დაკვირვებით, ხომ არ შეიძლება თუნდაც ამ ნამუშევრის პირველადი ფენა, ანდა მხოლოდ ქალის სახე თავად რუბენსის ნამუშევარი იყოს?**

- შეიძლება, გამორიცხული არაა. მაგრამ დაზუსტებით ვერ ვიტყვით. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, გამორიცხული არაა თავად რუბენსის უშუალო მონაწილეობა მის შექმნაში.

**P.S. ბოლოსთვის პირადად მე კიდევ რაღაცის თქმა მსურს. ამ ამბავმა და ლელა წიწუაშვილის მეტად საინტერესო კვლევამ, რომელიც წლების წინ დაწყებულა, კიდევ ერთხელ დაგვანახა, რამდენად მნიშვნელოვანია ზოგადად არტეფაქტების ტექნოლოგიური კვლევა და რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ეროვნულ მუზეუმში მალე განახლდეს ტექნოლოგიური კვლევების განყოფილება. რაც შეეხება რუბენსის სახელოსნოში შექმნილ „სასიყვარულო სცენას", იმედი უნდა ვიქონიო, რომ რესტავრატორ ნანა მანაგაძის მრავალწლიანი შრომა სულ მალე დაფასდება - რუბენსის სახელოსნოს ფერწერული ნაწარმოები სარესტავრაციო პატარა ოთახიდან ღია და ნათელ საგამოფენო დარბაზში გადაინაცვლებს. დღეს რომ ის მშვენიერ მდგომარეობაშია და მედიისა და საზოგადოების ინტერესს იმსახურებს, ამ ადამიანის პროფესიონალიზმისა და ენთუზიაზმის დამსახურება მგონია.**



ხატია ჯიჯეიშვილის ფოტოები

ინფრაწითელმა დასხივებამ აჩვენა, რომ თავდაპირველად სურათზე მამაკაცის ფიგურის ნაცვლად გახლდათ ქალი. მკვლევარი ვარაუდობს, რომ პირველად ჩანაფიქრში არა სასიყვარულო სცენა, არამედ სამაჭანკლო სიუჟეტი უნდა ყოფილიყო.

# სპილბერგის ოცნებები სრულდება

სტივენ სპილბერგის კინოკომპანიამ Dream Works დაასრულა პარტნიორული შეთანხმება ინდოელი მილიარდერის ანილა ამბანის (Anil Ambani) კომპანია Reliance ADA Group-თან, რომლის თანახმადაც სტუდია ფილმების წარმოებისთვის 825 მილიონ დოლარს მიიღებს. ამის შესახებ ინფორმაციას The Hollywood Reporter-ი ავრცელებს.

„ამხელა დაფინანსებით Dream Works-ი წელიწადში 5-6 ფილმის გადაღებას შეძლებს. პირველი პროექტის განხორციელდება უკვე 2009 წლის ბოლოს დასრულდება. ასევე დაწყებულია მუშაობა იმ ფილმების შექმნაზე, რომლებსაც 2010 წელს გამოუშვებენ", - ნათქვამია კომპანიების ორმხრივ შეთანხმებაში.

კომპანიას საბჭო გაუძღვება, სადაც თავად სპილბერგი, მისი საქმიანი პარტნიორი სტეისი სნეიდერი და კომპანია Sony Pictures-ის ყოფილი მმართველი ალან ლივაინი შევიდნენ. „ჩვენთვის დიდი პატივია, ვიმუშაოთ ისეთ ნიჭიერ ადამიანებთან, როგორებიც არიან სტივენ სპილბერგი და სტეისი სნეიდერი. ეჭვი არ მეპარება, რომ ჩვენი კაპიტალდაბანდება დაეხმარება მათ ყველა მათი ჩანაფიქრის წარმატებით რეალიზებაში", - განაცხადა ანილა ამბანიმ.

შეგახსენებთ, რომ ადრე Dream Works-მა და Walt Disney-მ, ფილმების გაქირავების უფლების შესახებ გრძელვადიან ექსკლუზიურ შეთანხმებას მოაწერეს ხელი. სტივენ სპილბერგი და სტეისი სნეიდერი The Walt Sisney Studios-თან ერთად კინოგაქირავებითა და Dream Works-ის მხატვრული ფილმების მარკეტინგით დაკავდებიან. აქამდე მიჩნეული იყო, რომ Dream Works-ის ფილმების დისტრიბუციას კომპანია Universal-ი მიჰყოფდა ხელს. 2008 წლის ოქტომბერში მხარეებმა წინასწარი მოლაპარაკებების წარუმატებლობის შესახებ ისაუბრეს, რომ მათ ვერ შეძლეს უთანხმოებები მოეგვარებინათ, რომლებიც სპილბერგის სტუდიის ახალი პროექტების დაფინანსებასთან იყო დაკავშირებული. ასეთი სახის პრობლემების გამო შეთანხმებაზე არ იქნა ხელი მოწერილი.

სტივენ სპილბერგს ინდურ კინოინდუსტრიასთან დიდი ხნის კავშირები აქვს. ჯერ კიდევ 1977 წელს თავისი ცნობილი ფილმის რამდენიმე ეპიზოდი, რეჟისორმა მუმბაის გარეუბნებში გადაიღო.

*24 საათი*

# "მოხალისე" თვითმკვლელები

ბრიტანელმა დირიჟორმა, სერ ედვარდ დაუნსმა (Edward Downes) და მისმა მეუღლემ, ლედი ჯოანმა (Joan Downes) შვეიცარიულ სპეცკლინიკაში თავი მოიკლეს. Dignitas - ადგილია, რომელიც ამ ცხოვრებიდან საკუთარი ნებით წასვლის სურვილის მქონე ადამიანებს ეხმარება. ამის შესახებ ინფორმაცია ტელეარხმა - Sky News 14 ივლისს გაავრცელა.

დაუნსების ოჯახის წევრების განცხადებით, წყვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით 10 ივლისს დაასრულა. ცნობილია, რომ 85 წლის დირიჟორი თითქმის სულ ბრმა იყო და ძალიან ცუდად ესმოდა, მისი 74 წლის ცოლი კი, სავარაუდოდ, სიმსივნისგან იტანჯებოდა. „ერთად და ბედნიერად გატარებული 54 წლის შემდეგ, მათ ამ ცხოვრებიდან წასვლა გადაწყვიტეს ნაცვლად იმისა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს გამკლავებოდნენ. ისინი გარდაიცვალნენ მშვიდად და წყნარად, საკუთარი ნებით, მაგრამ ორგანიზაცია Dignitas -ის დახმარებით. ამ კლინიკის ბაზა ციურიხში მდებარეობს", - გვიყვებიან სერ ედვარდის შვილები.

მრავალწლიანი მუსიკალური კარიერის განმავლობაში, ედვარდ დაუნსი იყო რადიოსადგურ ბი-ბი-სი-ს ფილარმონიული ორკესტრისა და ლონდონის სამეფო საოპერო თეატრის დირიჟორი. 1970 წელს ის გახდა რეჟისორი ავსტრალიის ოპერის თეატრისა, რომლის სცენაზეც პროკოფიევის „ომი და მშვიდობა" დადგა.

ედვარდ ჯოან დაუნსის მეუღლემ კარიერა დაიწყო, როგორც ბალერინამ და გააგრძელა, როგორც ქორეოგრაფმა. ამ უკანასკნელს მან მოგვიანებით სატელევიზიო პროდიუსერის პროფესია არჩია. უკანასკნელი წლების განმავლობაში დოან დაუნსი საკუთარი ქმრის პირადი ასისტენტი იყო.

Dignitas -ის კლინიკა შვეიცარიელმა ადვოკატმა, ლიუდვიგ მინელმა შექმნა და მუშაობა 1998 წელს დაიწყო. ამ ცენტრის სპეციალისტები ეხმარებიან ისეთ ადამიანებს, რომლებიც უკურნებელი ფიზიკური და ფსიქიკური დაავადებებისგან იტანჯებიან. ევტანაზია, რომლის მიზანია ადამიანები აუტანელი ტკივილებისგან გაათავისუფლოს, კვალიფიციური ექიმებისა და მედდების ზედამხედველობის ქვეშ ხორციელდება. აღსანიშნავია, რომ დიდი ბრიტანეთში ევტანაზია კანონმდებლობით იკრძალება, რის გამოც ამ ქვეყნის მოქალაქეები, რომლებსაც სიცოცხლესთან გამოთხოვება საკუთარი ნებით სურთ, ციურიხის Dignitas -ის ცენტრს მიმართავენ.

*24 საათი*

## არველაძე - ბეკენბაუერთან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში უეფადან შეტყობინება მივიდა - ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი რევაზ არველაძე უეფას „ფეხბურთის კომიტეტში“ შეიყვანეს.

არველაძეს კარგა ხნის ნაცნობობა აკავშირებს უეფას პრეზიდენტ მიშელ პლატინისთან. მათი ურთიერთობა მაშინ დაიწყო, როცა პლატინი უეფას პრეზიდენტობის კანდიდატი გახლდათ, არველაძე კი - ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ჯერ კიდევ იმ დროს, როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია იყო, ეს ორგანიზაცია პლატინის კანდიდატურას ემხრობოდა, რადგან ფრანგი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს უწინდელზე უფრო მეტ დახმარებას ჰპირდებოდა.

„ფეხბურთის კომიტეტი“ - რევაზ არველაძე უკვე მისი წევრია. ამ კომიტეტს ფრანც ბეკენბაუერი ხელმძღვანელობს.

არველაძემ 2001 წელს დაიწყო საფეხბურთო მოხელის კარიერა - ჯერ თბილისის „დინამოს“ პრეზიდენტი გახდა, შემდეგ ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტად დანიშნეს, 2008 წლიდან კი გენერალური მდივანია.

## სამხრეთაფრიკელი მუშები გაიფიცნენ

სამხრეთ აფრიკაში გასამართი 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მშენებარე ყველა ობიექტზე მუშაობა გაურკვეველი ვადით შეჩერდა, - იტყობინება BBC.

ამის მიზეზი გახდა გაფიცვა, რომელშიც 70 ათასამდე მუშა იღებს მონაწილეობას. ისინი სამუშაო პირობების გაუმჯობესებას და ხელფასის გაზრდას ითხოვენ. გაფიცვა დიდ საფრთხეს უქმნის ობიექტების დასრულების გრაფიკს, მათ შორის აეროპორტების, სასტუმროებისა და რამდენიმე სტადიონის მშენებლობას.

ჩემპიონატის ორგანიზატორებმა ხელფასის 10%-ით გაზრდაზე მზადყოფნა უკვე გამოხატეს, მაგრამ მუშების მოთხოვნა 13%-იან ზრდას ითვალისწინებს. როგორც ჩანს, არც ერთი მხარე დათმობას არ აპირებს. ფიფას პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.

## განაწყენებული ტევესი

კარლოს ტევესისა და ალექს ფერგიუსონის დაძაბული ურთიერთობის შესახებ არაერთხელ დაწერილა საინფორმაციო საშუალებებში. ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ „მანჩესტერ სიტიში“ გადასული არგენტინელი თავდამსხმელი კარლოს ტევესი ახლაც ხაზს უსვამს, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ თავისი წასვლის მთავარი მიზეზი გუნდის მწვრთნელი ალექს ფერგიუსონია. „გუნდში მთავარ როლს არ ვასრულებდი. ამიტომ განსაკუთრებით საპასუხისმგელო მატჩებში არ ვმონაწილეობდი. ჩემპიონთა ლიგაში, დერბიში არ მითამაშია. ვცდილობდი, ამ საკითხზე ახსნა-განმარტება ფერგიუსონისგან მიმეღო, მაგრამ უშედეგოდ. მარწმუნებდნენ, რომ არ უნდა მენერვიულა და ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლებოდა. ფერგიუსონს თავისი საქციელის გასამართლებელი მიზეზი არ ჰქონდა. სიმართლე გითხრათ, დარწმუნებული არ ვარ, რომ შეხვედრის შემთხვევაში მას ხელს ჩამოვართმევ. თანაგუნდელებს დიდ მადლობას ვუხდი - ჩვენ ერთმანეთთან შესანიშნავი ურთიერთობა გვქონდა“, - ამბობს ტევესი.

## ჰოლანდია-ბელგიას კრუიფი წარადგენს

ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი 2018 ან 2022 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის მოსაპოვებლად ჰოლანდიისა და ბელგიის მიერ ერთობლივი განაცხადის წარდგენის საორგანიზაციო კომიტეტის სახე გახდება.

კომიტეტის თავკაცის ჰარი ბინის თქმით, უახლოეს მომავალში ის შეეცდება, საფეხბურთო სამყაროში ისეთი ცნობილი პერსონებისგან მიიღოს მხარდაჭერა, როგორებიც არიან ფრანკ რაიკაარდი, გუს ჰიდინკი, რუუდ გულიტი და მარკო ვან ბასტენი. შესაძლოა, 2018 წლის მსოფლიო პირველობის მასპინძლობის მოსაპოვებლად გამართულ კონკურენციაში რუსეთის საფეხბურთო კავშირმა გუს ჰიდინკი თავის სახედ გამოიყენოს.

თვალის მიკროქირურგიის
ჯავრიშვილის
კლინიკა
„ოფთალმიჯი“
ერთადერთი კლინიკა
8 ფილიალით
და ერთი მოძრავი
საოპერაციო ბლოკით
SLT - ლაზერი
გლაუკომის ქირურგიაში
ოფთალმოქირურგიული
ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა
ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

# ფინური ბარიერი

### საქართველო - ფინეთი 59:68 (10:7, 21:24, 19:20, 9:17)

როგორც ჩანს, ქართველი კალათბურთელებისთვის ფინეთის ნაკრები გადაულახავ ბარიერად იქცა, თანაც, ნებისმიერ ასაკობრივ ჯგუფში.

კალათბურთის გულშემატკივარმა კარგად იცის, რომ სწორედ ფინელებმა შეუშალეს ხელი ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ელიტურ დივიზიონში გადასვლაში. ახლა კი უკვე ახალგაზრდულმა ნაკრებმა წაიფორხილა ფინელ თანატოლებთან. შესაძლოა, სწორედ ფინეთის ნაკრებთან განცდილი მარცხის გამო უსტიაშვილის გუნდმა ვერ მოახერხოს ნახევარფინალში გასვლა.

გუშინ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის B დივიზიონში მეორე ჯგუფური ეტაპი დაიწყო. პირველ ეტაპზე შვედეთის ნაკრების დამარცხების ხარჯზე ჩვენს გუნდს მეორე ჯგუფურ ეტაპზე ერთი გამარჯვება ავტომატურად ჩაეწერა. თუ გუშინ ფინეთის ნაკრებს დავამარცხებდით, ნახევარფინალის საგზური გარანტირებული გვქონდა. მაგრამ ფინეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ასე არ მომხდარიყო.

უსტიაშვილის გუნდი ფინელ ახალგაზრდებთან თამაშში სწორედ იმ პრობლემებს წააწყდა, რასაც ეროვნული ნაკრები ფინეთის ეროვნულ ნაკრებთან აწყდებოდა. კერძოდ, ჩვენმა ბიჭებმა ვერაფრით ვერ შეაჩერეს მეტოქე გუნდის სნაიპერები. მათ სწორედ სამქულიანებით მოგვიგეს. ქართველმა ახალგაზრდებმა თამაშის განმავლობაში მხოლოდ ექვსი სამქულიანი შეასრულეს ზუსტად, ფინელებმა კი - თორმეტი.



ლევან შენგელიამ ფინელებთან მატჩში ვერაფრით გამოიჩინა თავი

ჩვენმა ბიჭებმა მეტოქეს ფარიც დაუთმეს. ფინელებმა 35-ჯერ მოხსნეს ფარიდან ბურთი, ქართველებმა კი - მხოლოდ 28-ჯერ.

თამაში ისე დაიწყო, თითქოს პრობლემები არ უნდა შეგვქმნოდა. პირველ მეოთხედში ჩვენი ბიჭები ორივე ფარზე ბატონობდნენ და მეოთხედის დასრულებამდე ორი წუთით ადრე თამაშს ანგარიშით 10:2 იგებდნენ. ამის შემდეგ მეტოქემ თავისი მთავარი კოზირის გამოყენება დაიწყო. პირველი მეოთხედი მაინც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. მეორე მეოთხედში კი გამოჩნდა, რომ ფინეთის ნაკრები სერიოზული ძალაა. მათ საგრძნობი უპირატესობა მოიპოვეს მეორე მეოთხედის დებიუტში, თუმცა პირველი ტაიმის მიწურულს უსტიაშვილის გუნდმა თამაშში მცირე გარდატეხა შეიტანა. ტაიმი საყაიმო ანგარიშით დასრულდა.

თანაბარი ბრძოლა გაიმართა მესამე მეოთხედშიც. მეოთხე მეოთხედის წინ მეტოქე მხოლოდ ერთ ქულას გვიგებდა, მაგრამ საქართველოს ნაკრებმა ბოლო მეოთხედი პირწმინდად ჩააგდო და მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვების საშუალება მისცა ფინეთის ნაკრებს.

დღეს უსტიაშვილის გუნდი პოლონელ თანატოლებს დაუპირისპირდება. ჯგუფში შექმნილი ვთარებიდან გამომდინარე, პოლონელებთან მარცხის შემთხვევაში, მომდევნო ეტაპზე გასვლის შანსი აღარ გვაქვს, ხოლო თუ პოლონელებს დავამარცხებთ, შესაძლოა ბურთების სხვაობის დათვლაც კი გახდეს საჭირო.

# ფრე სამხრეთ აფრიკასთან

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც ამ ცოტა ხნის წინ ოთარ გაბელია ჩაუდგა სათავეში, ბულგარეთშია და ოთხთა ტურნირში იღებს მონაწილეობას.

21 ივლისს ბულგარეთის ქალაქ სლივენში ჩვენმა გუნდმა პირველი მატჩი გამართა სამხრეთ აფრიკის ნაკრებთან. თამაში ფრედ - 1:1 დასრულდა.

მატჩი მოწინააღმდეგეთა უპირატესობით დაიწყო. ბულგარელმა არბიტრმა მე-14 წუთზე პენალტი დანიშნა. სამხრეთაფრიკელთა კაპიტანმა მალულეკამ ეს შანსი გოლად აქცია - 1:0.

მალე ქართველებსაც მიეცათ მეტოქის კარის დალაშქვრის შანსი. ჩიმაკაძემ და თოთაძემ ვერ გამოიყენეს რეალური საგოლე მომენტი. მატჩის მიწურულს ქართველმა ფეხბურთელებმა მაინც გაათანაბრეს ანგარიში. თამაშის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე შონიამ მეტოქის საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და ბურთი აფრიკელთა კარში დაარტყა - 1:1.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მორიგ მატჩს 24 ივლისს მასპინძელთა ნაკრებთან გამართავს.

**ბულგარეთის ოთხთა ტურნირი. 21 ივლისი, 2009. სლივენი, ბულგარეთი.**

**საქართველო 1:1 სამხრეთ აფრიკა**

**გოლები:** მალელუკა, შონია

**საქართველო:** თევდორაძე; ადამაძე (კასრაძე 67); თოთაძე; გამრეკლიძე; კილაძე; შონია; თარხნიშვილი; მაისურაძე; ხუციძე; ბოლქვაძე (პავლიაშვილი 46); ჩიმაკაძე (ჭედია 69).

**მწვრთნელი:** ოთარ გაბელია.

# ტოჩინოშინმა კაჩიკოში გაინაღდა

იაპონიის ქალაქ ნაგოიაში მიმდინარე სეზონის რიგით მეოთხე სუპერტურნირზე სუმოში ახალგაზრდა ლევან გორგაძემ (ტოჩინოშინი) კაჩიკოში ანუ ბაშოს დადებითი ბალანსით დასრულება გაინაღდა.

გუშინ, ტურნირის მეთერთმეტე დღეს, როემლიც ბაშოს ლიდერთათვის წარუმატებელი გამოდგა, ტოჩინოშინმა უვატენაგეს ილეთით აღმოსავლეთის მეათე მაიგაშირა შოტონერო დასცა დოჰიოზე და აქტივში მერვე გამარჯვება ჩაიწერა. გორგაძე ბაშოს აუცილებლად დადებითი ბალანსით დასრულებს და აგვისტოს ბანძუკეს გამოქვეყნების შემდეგ რეიტინგშიც დაწინაურდება.

დარჩენილი ოთხი ბრძოლა ტოჩინოშინისთვის იმ მხრივ არის მნივშნელოვანი, რომ, რაც უფრო მეტი მოგება დაუგროვდება ქართველს, მით მეტად აქვს მას რეიტინგში წინსვლის შანსი.



ტოჩინოშინს რვა გამარჯვება დაუგროვდა

ივლისის ბაშო წარუმატებელი გამოდგა კოკაისთვის. მართალია, გამოცდილმა ქართველმა ტურნირის სტარტზე ზედიზედ სამი ბრძოლა მოიგო, მაგრამ შემდეგ ველარაფერი გააწყო და თერთმეტი დღის შემდეგ აქტივში მხოლოდ ოთხი გამარჯვება აქვს. გუშინ ლევან ცაგურია აღმოსავლეთის მეცამეტე მაიგაშირა ფუტენოსთან დამარცხდა. იმისთვის, რომ ქართველმა ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულოს, მან დარჩენილი ოთხივე ბრძოლა უნდა მოიგოს.

პირველი ბრძოლები წააგეს აქამდე დაუმარცხებლად მოასპარეზე ჰაკუჰომ და კოტოშუმ. დამარცხდა ასოშორიუც, რომელსაც ახლა, ტოჩინოშინის მსგავსად, 8 გამარჯვება და 3 მარცხი აქვს. ბაშოს სამი ლიდერი ჰყავს - ჰაკუჰო, კოტოშუ და კოტომისუკი.

დღეს ბაშოზე მეთორმეტე საასპარეზო დღეა. ტოჩინოშინის მეტოქეა დასავლეთის მეათე მაიგაშირა ტოკიტენუკი, რომელსაც თერთმეტიდან შვიდი ბრძოლა აქვს მოგებული. კოკაი კი აღმოსავლეთის მეთორმეტე მაიგაშირას - ასასეკირიუს უნდა დაეჭიდოს. ამ სუმოისტს აქტივში ხუთი გამარჯვება აქვს.

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

ს.ს.ი.პ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი აცხადებს ერთეტაპიან განმეორებით ღია ტენდერს სახარჯი მასალისა და სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო მოხმარების საგნების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი - სახარჯი მასალა და სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო მოხმარების საგნები.

ლოტების დასახელებები:

1. სახარჯი კომპლექტები რეანიმაცია, ანესთეზიოლოგიასა და ინტენსიურ თერაპიაში გამოყენებისათვის;
2. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი სამედიცინო მასალა;
3. ჭრილობის მოვლის სტერილური საშუალებები, სინთეზური საკერი მასალა და საიმპლანტაციო მასალები;
4. სახარჯი მასალა ნეიროქირურგიისათვის;
5. სახარჯი მასალა სტომატოლოგიისათვის;
6. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი სამედიცინო მასალა სტომატოლოგიისათვის;
7. მწვავე ჰემოდიალიზის სახარჯი მასალა;
8. ალერგენები;
9. DCP ფირფიტები;
10. მეტალის სხვადასხვა ელემენტები ტრავმატოლოგიისათვის (ჭანჭიკები, ჩხირები, მავთულები და სხვ.);
11. ნახშირბადის შემცველი სამკურნალო სამედიცინო მასალები;
12. ჭრილობის სამკურნალო და მოვლის საშუალებები;
13. აღჭურვილობა რადიოლოგიური და ენდოსკოპიური ინტერვენციული ჩარევებისათვის;
14. სახარჯი მასალა ოფთალმოლოგისათვის;
15. სელსეივერის სახარჯი მასალის ნაკრები;
16. ულტრაბგერითი სკალპელის მაკრატელი.

დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2009 წლის 24 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით. შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2009 წლის 23 ივლისის 9:00 საათიდან 12 აგვისტოს 18.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. N56, სსიპ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, სატენდერო კომისიის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 300433174 გორი

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ს.ს.ი.პ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ სახარჯი მასალისა და სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო მოხმარების საგნების (სახელმწიფო ბიუჯეტით) სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული განმეორებითი ტენდერი.

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში 2009 წლის 12 აგვისტოს 9:00 საათიდან 13 აგვისტოს 11:55 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. N56, სსიპ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის, ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლის, ხოლო ორი ეგზემპლარი ასლების სახით); სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის ელექტრონული ვარიანტი.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2009 წლის 13 აგვისტოს 12:00 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების (ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად.

განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედანის სახით, ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 15 დღით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: ნინო ოქროპირიძე, ტელ: 8(270)7.03.99; ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. N56, ს.ს.ი.პ. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი. სატენდერო კომისიის აპარატი.

სატენდერო კომისია

# განცხადება
# ტენდერის შედეგების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ 2009 წლის 2 ივნისის გაზეთ "24 საათში" (N121) მედიკამენტებისა და ლაბორატორიული რეაქტივების შესყიდვის უზრუნველსაყოფად (საკუთარი შემოსავლებით) გამოცხადებულ განმეორებით ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და სატენდერო ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ პრეტენდენტებთან: **შპს "გლობალ ფარმი"** - (ლოტიN43; ლოტიN44) **- ხელშეკრულება N5/141** 15.07.09წ; **შპს "პსპ ფარმა"** - (ლოტიN2; ლოტიN3; ლოტიN6; ლოტიN9; ლოტიN10; ლოტიN13; ლოტიN14; ლოტიN17; ლოტიN19; ლოტიN20; ლოტიN21; ლოტიN23; ლოტიN24; ლოტიN25; ლოტიN26; ლოტიN27; ლოტიN28; ლოტიN29; ლოტიN30; ლოტიN31; ლოტიN35; ლოტიN36; ლოტიN37; ლოტიN38; ლოტიN39) - **ხელშეკრულება N5/142** 15.07.09წ; **შპს "ირისე"** - (ლოტიN55) - **ხელშეკრულება N5/143** 15.07.09წ; **შპს "ავერი-გეოფარმი"** - (ლოტიN5; ლოტიN32; ლოტიN33; ლოტიN40; ლოტიN41; ლოტიN42; ლოტიN47; ლოტიN48; ლოტიN49; ლოტიN50; ლოტიN51) - **ხელშეკრულება N5/144** 15.07.09წ; **სს კომპანია "მედინსერვი"** (ლოტიN18; ლოტიN45; ლოტიN46) - **ხელშეკრულება N5/145** 15.07.09წ; **შპს "მირკო"** - (ლოტიN53; ლოტიN54) - **ხელშეკრულება N5/146** 15.07.09წ; **სს "ჯი-პი-სი"** - (ლოტიN7; ლოტიN22) - **ხელშეკრულება N5/147** 16.07.09წ.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება
# ტენდერის შედეგების შესახებ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ 2009 წლის 2 ივნისის გაზეთ "24 საათში" (N121) მედიკამენტებისა და ლაბორატორიული რეაქტივების შესყიდვის უზრუნველსაყოფად **(სახელმწიფო ბიუჯეტით)** გამოცხადებულ განმეორებით საერთაშორისო ღია ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადდა და სატენდერო ხელშეკრულებები გაფორმდა შემდეგ პრეტენდენტებთან: **შპს "გლობალ ფარმი"** - (ლოტიN39; ლოტიN40) **- ხელშეკრულება N212** 15.07.09წ; **შპს "პსპ ფარმა"** - (ლოტიN3; ლოტიN6; ლოტიN9; ლოტიN10; ლოტიN13; ლოტიN14; ლოტიN16; ლოტიN18; ლოტიN19; ლოტიN21; ლოტიN22; ლოტიN23; ლოტიN24; ლოტიN25; ლოტიN26; ლოტიN27; ლოტიN28; ლოტიN31; ლოტიN32; ლოტიN33; ლოტიN34; ლოტიN35; ლოტიN41; ლოტიN47) - **ხელშეკრულება N213** 15.07.09წ; **შპს "ირისე"** - (ლოტიN53) - **ხელშეკრულება N214** 15.07.09წ; **შპს "ავერი-გეოფარმი"** - (ლოტიN5; ლოტიN29; ლოტიN36; ლოტიN37; ლოტიN38; ლოტიN44; ლოტიN45; ლოტიN46; ლოტიN48) - **ხელშეკრულება N215** 15.07.09წ; **სს კომპანია "მედინსერვი"** (ლოტიN17; ლოტიN42; ლოტიN43) - **ხელშეკრულება N216** 15.07.09წ; **შპს "მირკო"** - (ლოტიN51; ლოტიN52; ლოტიN55; ლოტიN55) - **ხელშეკრულება N217** 15.07.09წ; **სს "ჯი-პი-სი"** - (ლოტიN7; ლოტიN20) - **ხელშეკრულება N218** 16.07.09წ.

**სატენდერო კომისია**

# განცხადება
# ტენდერის ჩატარების შესახებ

ს.ს.ი.პ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი აცხადებს ერთეტაპიან განმეორებით ღია ტენდერს სახარჯი მასალისა და სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო მოხმარების საგნების **შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.**

**შესყიდვის ობიექტი - სახარჯი მასალა და სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო მოხმარების საგნები.**

**ლოტების დასახელებები:**

1. სახარჯი კომპლექტები რეანიმაცია, ანესთეზიოლოგიასა და ინტენსიურ თერაპიაში გამოყენებისათვის;
2. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი სამედიცინო მასალა;
3. ჭრილობის მოვლის სტერილური საშუალებები, სინთეზური საკერი მასალა და საიმპლანტაციო მასალები;
4. სახარჯი მასალა ნეიროქირურგიისათვის;
5. სახარჯი მასალა სტომატოლოგიისათვის;
6. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი სამედიცინო მასალა სტომატოლოგიისათვის;
7. მწვავე ჰემოდიალიზის სახარჯი მასალა;
8. კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მექანიკური საკერი აპარატის კარტრიჯი;
9. ალერგენები;
10. DCP ფირფიტები;
11. მეტალის სხვადასხვა ელემენტები ტრავმატოლოგიისათვის (ჭანჭიკები, ჩხირები, მავთულები და სხვ.);
12. ნახშირბადის შემცველი სამკურნალო სამედიცინო მასალები;
13. ჭრილობის სამკურნალო და მოვლის საშუალებები;
14. აღჭურვილობა რადიოლოგიური და ენდოსკოპიური ინტერვენციული ჩარევებისათვის;
15. სახარჯი მასალა ოფთალმოლოგისათვის;
16. სელსეივერის სახარჯი მასალის ნაკრები;

**დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები.**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **2009 წლის 24 აგვისტოდან 31 დეკემბრის** ჩათვლით. შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, **2009 წლის 23 ივლისის 9:00 საათიდან 12 აგვისტოს 18.00 საათამდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. N56, სსიპ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, სატენდერო კომისიის აპარატი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101222
სახაზინო კოდი: 300433174 გორი

გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, ს.ს.ი.პ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ სახარჯი მასალისა და სხვადასხვა დანიშნულების სამედიცინო მოხმარების საგნების (სახელმწიფო ბიუჯეტით) სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული განმეორებითი ტენდერი.

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ერთ დალუქულ კონვერტში **2009 წლის 12 აგვისტოს 9:00 საათიდან 13 აგვისტოს 12:25 სთ-მდე,** შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. N56, სსიპ თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი, სატენდერო კომისიის აპარატი.

საკვალიფიკაციო დოკუმენტაცია და სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს სამ ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი დედანის, ან ნოტარიალურად დამოწმებული ასლის, ხოლო ორი ეგზემპლარი ასლების სახით); სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის ელექტრონული ვარიანტი.

სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე **2009 წლის 13 აგვისტოს 12:30** საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, საჯაროსამართლებრივი შეზღუდვის არ არსებობის შესახებ;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
4. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ;
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

**როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:**

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან (წერილობითი დადასტურება), რომ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი ბოლო ორი წლის განმავლობაში არ არის არაკეთილსინდისიერი პირების, პრეტენდენტების და მიმწოდებლების რეესტრში.

პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) ასევე უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების (ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები) შესაბამისად.

განცხადებაში ჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, საკვალიფიკაციო შერჩევის დროს, შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს, ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

შენიშვნა: პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედანის სახით, ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება **ერთი** გამარჯვებული.

**ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების ჯამური ღირებულების 1%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყოს პრეტენდენტის სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაზე მინიმუმ 30 კალენდარული დღით მეტი.**

**ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებული იქნება შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა 15 დღით უნდა აჭარბებდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.**

**სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე** პრეტენდენტს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას, ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: ნინო ოქროპირიძე, ტელ: 8(270)7.03.99; ქ. გორი, ჭავჭავაძის გამზ. N56, ს.ს.ი.პ. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი. სატენდერო კომისიის აპარატი.

**სატენდერო კომისია**

## ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცხადებულ აუქციონში ტექნიკური ხარვეზის გასწორება

**2009 წლის 21 ივლისის გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებულ ქ. თბილისის მთავრობის აუქციონში დაშვებული იყო ტექნიკური ხარვეზი N156 ლოტში. აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**ლოტი N 156**

**მიწის ნაკვეთის მისამართი - ლუბლიანის ქუჩის დასაწყისის მიმდებარედ (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N01.13.02.011.010)**

**გაცემის ფორმა - აუქციონი;**

**სარგებლობის ფორმა - საკუთრება;**

**მიწის ნაკვეთის ფართობი - 50 კვ.მ.**

**კომისიის მიერ დადგენილი მიწის ნაკვეთის საწყისი ფასი - მიწის საწყისი ფასი 1 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე - 245 ლარი, აუქციონზე სავაჭრო ფასის მომატების ბიჯი -5 ლარი. აუქციონში მონაწილის წინასწარი შესატანი "ბე" განისაზღვროს 4900 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასური შეადგენს 50 ლარს.**


## დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღვანელობით გთავაზობთ:

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით
- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით
- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე**
**მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**
მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი
თბილისი, თენგიზ აბულაძის 20
(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)
**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

# განცხადება საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ თანამდებობებზე:

- ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების გამგე / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
- შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების გამგე / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
- ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
- საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების გამგე / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
- კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების გამგე / მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.
- ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის გამგე / უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

2. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV).

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი.

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის, 2004 წლიდან დღემდე, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი.

ე) 2004 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული 1 სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით, უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს.

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა. შ.).

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

თ) 2004 წლიდან დღემდე მიღებული სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი.

ი) კონკურსანტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო კონფერენციების, სიმპოზიუმების, ვორქშოპების ჩამონათვალი.

კ) ამ მუხლის "ბ", "დ", "ე", "ვ", "ზ", "თ" და "ი" პუნქტებში მითითებული საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ვერსიის სახითაც (კომპაქტ-დისკით).

4. საკონკურსო თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევისას, შესაძლებელია, გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით, 2004 წლიდან დღემდე).

ბ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებსა და კონფერენციებში (განსაკუთრებით, 2004 წლიდან დღემდე).

გ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში (განსაკუთრებით, 2004 წლიდან დღემდე).

დ) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული ხედვა.

ე) კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება (განსაკუთრებით, 2004 წლიდან დღემდე).

5. სამეცნიერო საბჭო ატარებს გასაუბრებას იმ კონკურსანტებთან, რომელთა საკონკურსო დოკუმენტაცია სრულყოფილად არის წარმოდგენილი.

6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო ღია კონკურსის საფუძველზე, ფარული კენჭისყრით ირჩევს ინსტიტუტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებს 4 წლის ვადით და მათ კანდიდატურებს დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს.

7. სამეცნიერო საბჭოს მიერ წარდგენილ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატს დირექტორი ამტკიცებს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას 4 წლის ვადით.

8. საბუთების მიღება იწარმოებს 2009 წლის 24 ივლისიდან, მისამართი: მელიქიშვილის ქ. N10.

9. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 24 აგვისტო.

10. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 2009 წლის 1 სექტემბერს (გამოიკვრება განცხადებების დაფაზე).

11. სასურველია საბუთები წარმოდგენილი იყოს ელექტრონული ვერსიის სახითაც (კომპაქტ-დისკით).

12. დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

ქ. თბილისი, პ. მელიქიშვილის ქ. N10
ინსტიტუტის ვებ-გვერდი: **http://ijhei.wordpress.com**
ინსტიტუტის ელ-ფოსტა: **histend55@yahoo.com**
ტელ.: 99-06-82
პასუხისმგებელი პირები: ლოლა სარალიძე, ლეილა ხურცია, ნინო გიგანი.

# განცხადება

**ქ. ბათუმის მერია** აცხადებს, რომ მომზადებულია მისი დაქვემდებარების საწარმოო ობიექტის - **ადლიის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის** დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე - ქ. ბათუმის მერიაში - ლუკა ასათიანის 25 და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. N6).

საჯარო განხილვა მოეწყობა ქ. ბათუმის მერიის შენობაში (ლუკა ასათიანის 25 ) 2009 წლის 15 სექტემბერს, 15.00 საათზე.

გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ **ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციას**.

**ქ. ბათუმის მერია**

# ცვლილება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის 14 ივლისის სატენდერო განცხადებაში (საერთო სასამართლოების ინფრასტრუქტურისა და დატაცენტრის მოსაწყობი აპარატურის სახელმწიფო შესყიდვა) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილება, კერძოდ:

განცხადების სპეციფიკურ პირობებს დაემატოს შემდეგი პარაგრაფი:

| | | |
|---|---|---|
| **Optical Modules** | **Cisco Systems original 1000BASE-ZX SFP transceiver module for SMF, 1550-nm wavelength** | **16** |

# თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერია 2009 წლის 21 აგვისტოს ატარებს განმეორებით აუქციონს (პირობით)

აუქციონზე გამოტანილი იქნება თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკუთრებაში არსებული შემდეგი ქონება:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სხვადასხვა დანიშნულების ლითონის მილები, კერძოდ:

| № | ადგილმდებარეობა | დიამეტრი (მმ) | სიგრძე (მ) | საწყისი საპრივატიზაციო თანხა(ლარებში) | "ბე" | ბიჯი |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | სოფ. განთიადი | 500 | 180 | 5940 | 297 | 500 |
| 2 | სოფ. განთიადი | 600 | 276 | 13455 | 673 | 500 |
| 3 | სოფ. განთიადი | 173 | 1011 | 11173 | 558 | 500 |
| 4 | სოფ. განთიადი | 50 | 680 | 4080 | 204 | 300 |
| 5 | სოფ. გომარეთი | 400 | 14000 | 336000 | 16800 | 1000 |

**აუქციონის პირობები:**

1. ნიადაგიდან მილების ამოღების სამუშაოები მოხდეს მყიდველის ხარჯით.
2. მილების ამოღების შემდგომ ინფრასტრუქტურა და კომუნიკაცია მოყვანილ იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და სანქციები:**

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან ამ პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების საბოლოო თანხა გადაიხადოს აუქციონის ნატარებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და "ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში 9 საათიდან 18 საათამდე. (თვითმმართველი ქალაქი რუსთავი კოსტავას გამზირი №20) ხოლო აუქციონის ნატარების დღეს 9 საათიდან 15 საათამდე, აუქციონი გაიმართება 16 საათზე.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) "ბე"-ს შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

ს.ს. "საქართველოს ბანკი" ცენტრალური ფილიალი
ბ.კ 220101502
ა/ა 266897601(მიუთითოს გადასახადის დანიშნულება).
საიდენტიფიკაციო კოდი 216433287

გ) მონაწილის ბილეთის ფასის - 50 ლარის შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს:

220101222
სახელმწიფო ხაზინა
200122900
ერთიანი ანგარიში
სხვა შემოსულობები (რუსთავი)
სახაზინო კოდი 300063282
(სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავალი)

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში)

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე "ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ქ. რუსთავი, კოსტავას გამზირი №20
ტელ: (824) 12 12 66

## შპს "საქართველოს რკინიგზა" 2009 წლის 23 ივლისიდან აცხადებს ტენდერს აუდიტორული მომსახურების შესყიდვის შესახებ

შპს "საქართველოს რკინიგზა" (მდებარე ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15) აცხადებს ტენდერს **აუდიტორული მომსახურების** შესყიდვის შესახებ და იწვევს ყველა დაინტერესებულ იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

**1.** დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი **500 (ხუთასი)** ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე: ს/ს ბანკი "რესპუბლიკა" ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ანგარიშის №10494921495;

სატენდერო დოკუმენტაცია (შედგენილი ქართულ ენაზე) გაიცემა 2009 წლის **23 ივლისიდან** 2009 წლის **12 აგვისტოს** ჩათვლით **სატენდერო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნის შესახებ მიმართვის** წარმოდგენის საფუძველზე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტო.

**2.** შესყიდვის ობიექტი :

| ლოტი № | მომსახურეობის დასახელება | რაოდ. |
|---|---|---|
| | | |
| 1 | შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს და მისი შვილობილი საწარმოების საწესდებო კაპიტალის კორექტირებასთან და ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით საჭირო აუდიტორული დასკვნების მომზადება<br><br>შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების (წილები, აქციები, სხვა ფასიანი ქაღალდები, არამატერიალური აქტივები, ძირითადი საშუალებები, შავი, ფერადი და ძვირფასი ლითონის ჯართი, მარაგნაწილები, მასალები, ნედლეული და სხვა) საბაზრო ღირებულებისა და საწყისი გასაყიდი ფასის დადგენის შესახებ აუდიტორული დასკვნების მომზადება. შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით საჭირო აუდიტორული დასკვნების მომზადება<br><br>შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს შვილობილი საწარმოების დაფუძნების, შერწყმის, დაყოფის, ლიკვიდაციის პროცესისათვის, აგრეთვე წლიური შედეგების გადამოწმებისათვის საჭირო აუდიტორული დასკვნების მომზადება<br><br>აქტივების საინვესტიციო პირობებით გასხვისების ან დროებით სარგებლობაში გადაცემის შემთხვევაში, შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრული საინვესტიციო და სხვა ვალდებულებების შესრულებაზე აუდიტის ჩატარება<br><br>საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმით ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემისას (გარდა უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმა და/ან თხოვების ფორმით გადაცემისას) სარგებლობის საწყისი ღირებულების ოდენობის დადგენა<br><br>შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ სხვა სუბიექტებისათვის მომსახურების გაწევის საფასურის განსაზღვრა<br><br>და სხვა იდენტური სახის მომსახურება | მოთხოვნისამებრ |

**3. მიწოდების ადგილი** _ მოთხოვნის შესაბამისად.

**4. მომსახურეობის გაწევის ვადა:** ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში.

**5.** გამარჯვებულმა პრეტენდენტმა შპს "საქართველოს რკინიგზა"-ს მიერ 12 თვის განმავლობაში ნებისმიერი რაოდენობით დაკვეთილი სამუშაოები უნდა შეასრულოს მის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების ღირებულების ფარგლებში.

**6.** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ ორ ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2008 წლის **12 აგვისტოს** 18 სთ და 00 წთ მდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. № 15, მე-3 სართული, შპს "საქართველოს რკინიგზის „შესყიდვების სააგენტო.

**7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:**

*იურიდიული პირებისათვის :*

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*
2. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, *რომელიც გაცემული უნდა იყოს არაუმეტეს 5 დღით ადრე სატ.პაკეტების გახსნის დღემდე;*
3. ინფორმაცია ხელმძღვანელი პირების კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფისათვის სატენდერო წინადადების ღირებულების **5%-იანი** საბანკო გარანტიის წარმოდგენა, რომლის მოქმედების ვადა უნდა იყო არანაკლებ 60 დღე პაკეტების გახსნის დღიდან;
5. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების შემოსავალი აუდიტორული საქმიანობის განხორციელებისათვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში არ უნდა იყოს **700 000 ლარზე** ნაკლები.
6. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია განხორციელებული აუდიტორული საქმიანობის შესახებ.

**8. ყველა პრეტენდენტმა აუცილებლად უნდა წარმოადგინოს :**

1. ხელმოწერილი ასევე ბეჭდით დამოწმებული, სატენდერო წინადადება რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს 30 დღეზე ნაკლები (ნიმუში წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციაში), რომელშიც აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ლოტის ღირებულება და სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა. **(არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი)**

2. სატენდერო წინადადების ფასი წამოდგენილი უნდა იქნას ეროვნულ ან უცხოურ ვალუტაში **დღგ–ს გარეშე**: უცხოურ ვალუტაში სატენდერო წინადადების ფასის დაფიქსირების შემთხვევაში მისი შეფასება მოხდება სატენდერო პაკეტების გახსნის დღეს ეროვნული ბანკის მიერ დაფიქსირებული კურსის შესაბამისად;

3. **გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში მომწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია (მხოლოდ საბანკო დაწესებულებიდან) ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით,** რომლის მოქმედების ვადა 50 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საბოლოო შესრულების ვადას;

პრეტენდენტები არ დაიშვებიან შეფასებაზე თუ მათ მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და სატენდერო განცხადების მოთხოვნებს

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შპს "საქართველოს რკინიგზის" შესყიდვების სააგენტოში, ტელ **56-33-71 მაკა ჟუჟუნაშვილი;** (სატენდერო კომისიის აპარატის შემადგენლობა: ნ. კონჯარია 56-38-60 თ. ხოკერაშვილი 56-39-30; ი. ლობჟანიძე 56-46-96;)

სატენდერო კომისია

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრი-ული სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელ-მძღვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნა-ლობას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპიური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპი-უტერულ ტომოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით

- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნალობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით - ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აც-რის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**

**დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის პედიატრიული სამსახური**

**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ქეთევან ბარაბაძის ხელმძღ-ვანელობით გთავაზობთ:**

- ბავშვთა მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროულ, ზუსტ დიაგნოსტიკასა და მკურნალო-ბას მსოფლიოში აღიარებული სტანდარტების შესაბამისად უახლესი ლაბორატორიული, ექოსკოპი-ური, ენდოსკოპიური, ელექტროენცეფალოგრაფიული, რენტგენოლოგიური, კომპიუტერულ ტო-მოგრაფიული და სხვა მეთოდების გამოყენებით

- დღის სტაციონარს თანამედროვე ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული კვლევებისა და მკურნა-ლობისთვის საჭირო მანიპულაციების სრული კომპლექსით

- ბავშვთა ვაქცინაციას უმაღლესი ხარისხის კომბინირებული ვაქცინებით, რაც უზრუნველყოფს მყარ იმუნიტეტს აცრის შემდგომი გართულებების მინიმუმამდე დაყვანით

**ბავშვთა მოვლისა და მკურნალობის ნებისმიერ საკითხზე მიმართეთ პედიატრიულ სამსახურს**

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების" ეკლესიის უკან)

**ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (893) 28 24 20;**